# საქართველოს რესპუბლიკა





დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 15 დეკემბერი, 2009 წელი.

№ 252 (6352)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# „მისტრალი“ – საფრანგეთის პატარა შეცდომა, თუ ევროპის მიერ სტალინთან დაშვებული საბედისწერო შეცდომის გაგრძელება?



3

# ეპიდემია გვიახლოვდება?

## ეპიდემიის გამოცხადების შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა შეჩერდება

**თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი მამუკა ძაცარავა აცხადებს, რომ ე.წ ღორის გრიპთან საბრძოლველად დედაქალაქში ყველა წინაპირობაა შექმნილი. ქაცარავას თქმით, ამ დროისათვის არსებული სტატისტიკა ეპიდემიის გამოცხადების საფუძველს არ იძლევა.**

**მამუკა ქაცარავა:** ეპიდემიის გამოცხადების შემთხვევაში შეიძლება საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა შევაჩეროთ, შედარებით ადრე, არდადეგების დაწყებამდე, ტარდება აბსოლუტურად ყველა ის ღონისძიება, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ არის მოწოდებული. სამედიცინო სექტორი არის სრულ კოორდინაციაში დაწყებული სასწრაფო დახმარებიდან პოლიკლინიკების ექიმებისა და ჰოსპიტალური სექტორის ჩათვლით.

მობილიზებულია პრეპარატ „ტამიფლუს“ აბსოლუტურად საკმარისი რაოდენობა, საგანგაშო და საპანიკო მდგომარეობა ქალაქში ნამდვილად არ არის. ეს არის პერიოდი, როდესაც ვირუსული ინფექციებით გამოწვეული გრიპი აღწევს პიკს დეკემბრის შუა ნახევრიდან.

**– რამდენი ადამიანია დაინფიცირებული ბოლო მდგომარეობით?**

– როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა გამოაცხადა, ამისი სტატისტიკა ძალიან ძნელია, რადგან ადამიანთა ძალიან დიდი ნაწილი სახლის პირობებში მკურნალობს და ეს არის თვითგანკურნებადი დაავადება 95 პროცენტის შემთხვევაში.

გამოძახებების შემთხვევები გაზრდილია, რადგან საზოგადოებრივი ინტერესი ძალიან მაღალია, იგივე საინფორმაციო წყაროების აქტიურობის გამო. სასწრაფო დახმარების გამოძახებამ ქვეყანაში ორი ათასს გადააჭარბა.

**– როგორი არის ე.წ ღორის გრიპით დაავადებული იმ პაციენტების მდგომარეობა, რომლებიც მძიმედ იმყოფებოდნენ?**

– ჯერჯერობით მათი მდგომარეობა სტაბილურად მძიმე რჩება. სამედიცინო პერსონალი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გამოიყვანონ ისინი მძიმე მდგომარეობიდან. საერთოდ გეტყვით, რომ ნებისმიერი ვირუსული ინფექციების სეზონური მატების დროს, არის რამდენიმე ლეტალური შემთხვევა.

**– პრეპარატი „ტამიფლუ“ საკმაოდ ძვირია. სახელმწიფო თუ ეხმარება მოქალაქეებს, რომელთაც ძვირადღირებული პრეპარატის შეძენა არ შეუძლიათ?**

– ყველა პოლიკლინიკას დარიგებული აქვთ „ტამიფლუ“. მოგეხსენებათ, რომ ბინაზე პოლიკლინიკის ექიმის გამოძახება არის უფასო. როდესაც ექიმი მიდის ბინაზე და მიიჩნევს საჭიროდ, რომ „ტამიფლუ“ უნდა დაინიშნოს, ის ავადმყოფს უტოვებს „ტამიფლუს“, მაგრამ არა ავადმყოფის მოთხოვნით, რომ ვთქვათ რეზერვში დაიტოვოს ოჯახში ეს პრეპარატი. როგორც იცით, 140 ათასი დოზა აქვს სამინისტროს შესყიდული. ამ ეტაპზე ეს აბსოლუტურად საკმარისია.

**ჯონი გველესიანი**

„ჯი-ეიჩ-ენი“

85



ანა კალანდაძე

## ქართველი მეომრის სიმღერა

სითბო გვზრდიდა, ჩვენ ულევი
სითბო გვზრდიდა
თავისუფალ მზის დიდ სამეუფოში...
არასოდეს გადავსულვართ სწორი გზიდან,
მივდიოდით წინ დიდების დროშით!
ნანა გვზრდიდა, ჩვენ ქართული
ნანა გვზრდიდა, –
აღგვეგავა მტერი რისხვით მზარავი,
მსოფლიოსთვის კავკასიის პარნასიდან
გვეთქვა ჩვენი სალამი!
სიტყვა გვზრდიდა, ჩვენ შოთაის
სიტყვა გვზრდიდა, –
წარგვეხოცა ნაკვალევი მგლებისა
და ბერლინში რაიხსტაგზე აღგვეზიდა
დროშა გამარჯვებისა!
ნაძრახ ყოფას ჩვენ სამარის მიწა გვიჯობს, –
ქართულად ხომ მას სიცოცხლე არ ჰქვია?!
მტერს დავკარი,
სტალინმა თქვა:
– ყოჩაღ, ბიჭო,
ქართულია! კარგია!
მივდიოდით, მივკაფავდით, მძლეოსანთა
ხმალი როდი ვაშიეთ?
ამ გორდაით თავის სიტყვა ვთქვათ რათა
სააკაძის ნაშიერთ!
სითბო გვზრდიდა, ჩვენ უშრეტი
სითბო გვზრდიდა
ცხრათვალა მზის დიდ სამეუფოში...
სადაც სისხლით და შრაპნელის
რისხვით წვიმდა,
მივდიოდით გამარჯვების დროშით!

1946 წ.

### ბიზნესმენებს ხელოვნურ პრობლემებს უქმნიან

2

### აფხაზური „საერთაშორისო პასპორტები“ მხოლოდ მათთვის იქმნება, ვისაც ნიკარაგუასა და ვენესუელაში ჩასვლა არ დაეზარება

3

### კვიპროსში თურმე 6 ათასი ქართველი ცხოვრობს!

5

### „პროფესორი“ დავით პაიჭაძე – ნატოს წინააღმდეგ

პოლიტიკა

2

◎ ვინ — ვის?

ჟურნალისტის უპირველესი პროფესიული თვისება ფაქტებით აზროვნება, მიუკერძოებლობა და სითამამეა.

ჟურნალისტი უნდა იყოს მართალი, ზუსტი და... ისევ და ისევ თამამი!

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ყოფილი დეკანი (შემდგომში ჟურნალისტიკის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი) დავით პაიჭაძე ის იშვიათი გამონაკლისია, რომელსაც წარსულმა ცხოვრებამ და მიუტევებელმა შეცდომებმა ჭკუა ვერ ასწავლეს და 11 დეკემბერს ნაციონალების ჯიბის მთავარი ტელევიზიის („რუსთავი-2“-ის) გადაცემაში — „პოზიცია“ წარმოჩინდა, როგორც თვითდაჯერებული, მიკერძოებული ლაქია და საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული საპრეზიდენტო კამპანიის ერთ-ერთი „მებაირახტრე“.




# „პროფესორი“ დავით პაიჭაძე – ნატოს წინააღმდეგ

ქართულ ჟურნალისტიკას მიტმასნილი, თავხედობაში გადასული სითამამის პატრონი **ეკა კვესიტაძე** იმ გადაცემაში რასაც და რატომაც წინმატოზდა, ასე თუ ისე, გასაგებია: ბაქიბუქა და გაუწონასწორებელ ჩვენს „თითით საჩვენებელ“ პრეზიდენტ მიშას რუსეთის ხელმძღვანელობა თვალში ნამეტნავად ეპატარავება, სადა კი სატელევიზიო კამერას მიუშვერენ, ლანძღავს და თათხავს... ეკა კვესიტაძე და მისნაირები კი გაზეთებიდან და ტელევიზიებიდან უკრავენ კვერს... აი, თვითდაჯერებულმა ცოდვილმა დავით პაიჭაძემ კი, რაც იმ საღამოს მართლა ჭკუდამჯდარი პროფესორივით თქვა, არც მეტი, არც ნაკლები, ქვეყნის ღალატია: საკითხი ნატოს ახალი გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის ერთმნიშვნელოვან გამონათქვამს ეხება საქართველოს ერთმმართველი ხელისუფლების და ამ ხელისუფლების „წარმტაცი დიპლომატიით“ გაბითურებული ქართველი ხალხის საყურადღებოდ: **დაიწყეთ რუსეთთან ლაპარაკი!** გნებავთ ასე: **აუცილებლად აღადგინეთ რუსეთთან საქმიანი ურთიერთობა!**

„პროფესორ“ დავით პაიჭაძეს ეს აზრი ძალიან აღიზიანებს!

ქართველ ჟურნალისტთა ჯგუფის მონაწილეობა ევროპისა და აზიის მედიის წარმომადგენელთა ფორუმში და მათი უშუალო შეხვედრა პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან კი არა, დავით პაიჭაძეს რასმუსენის ელემენტარული შეგონებაც (რა თქმა უნდა, ფრიად საჭირო და საყურადღებო შეგონება!) არ მოსწონს და თავისი პატარა ჭკუით ნატოს პოზიციასაც აკრიტიკებს!

რა ჰქვია ამას პრეზიდენტის ლაქია ჟურნალისტებო?

თუ ნატოში მიღების სურვილი დღედაღამ გვაბოდებს, თუ ამერიკამ და საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა გადაგვარჩინონ, თუ იგივე ამერიკა და ევროპა მაინც ცდილობენ (ზოგჯერ დიპლომატიის ცხრა ყუნწში გაძრომის ფასად!) რუსეთს დაელაპარაკონ, ჩვენ, ნაცარქექია, დამარცხებული, გაღატაკებული ქვეყნის ბრიყვ შვილებს რა გვემართება?

ხომ არის ეს ქართველი ხალხის, ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება?

მსგავსი შეცდომა (შეცდომები) ოდენ თავკერძა, კატეგორიულ, ამბიციურ ადამიანებს მოსდით!

ჟურნალისტი თამამი კი უნდა იყოს, მაგრამ თავხედი და უვიცი — არა!

რაც მართალია, მართალია, ზედმეტი გაღიზიანების მიუხედავად, სწორად თქვა ფორუმის მონაწილე „ჯორჯიან თაიმსის“ გამომცემელმა მალხაზ გულაშვილმა: **ჟურნალისტებმა საკუთარ კოლეგებს ასე გაუაზრებლად ზურგში მახვილი არ უნდა ჩაგვცეთო!**

იმ გადაცემაში ლაშა ტუღუშიც მონაწილეობდა, მაგრამ მას ასეთი სახალხო, სახელმწიფო შეცდომა არ დაუშვია. პირიქით, ლაშა ტუღუში თავისი კოლეგების გამოსარჩლებასაც კი ცდილობდა... ლალი მოროშკინას „პოზიციაზე“ კი ამჯერად არაფერს ვიტყვით.

**სპარტაკ ქობულია**

◎ ბრიფინგი

**წლის ბოლო ახლოვდება და ყველა ცდილობს, დარჩენილი საქმეები მოითავოს, ვალები გაისტუმროს და ახალ წელს ახალი შემართებით, სასიამოვნო სიახლეებით შეხვდეს. ეს ყველაზე კარგად ბიზნესმენებსა და ეკონომიკის სფეროს წარმომადგენლებს ეხებათ, რადგან მომავალი წლის ბიუჯეტს პარლამენტი დეკემბერში განიხილავს და ამტკიცებს, შესაბამისად, საგადასახადო დეკლარაციების წარდგენაც ამ დროს ხდება.** წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოსა და მათი ურთიერთობა გაძნელდება. წელს კი ბიზნეს სუბიექტებს პრობლემები შეექმნათ. ამის შესახებ პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ჩვენ თვითონ“ განაცხადა. ოფისში გამართულ ბრიფინგზე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ლიკა ნალებაშვილმა აღნიშნა, რომ საგადასახადო სამსახურის თანამშრომლები თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით ბიზნესს ხელოვნურ პრობლემებს უქმნიან.

# ბიზნესმენებს ხელოვნურ პრობლემებს უქმნიან



დღეს საგადასახადო დეკლარაციების წარდგენის ვადა იწურება, რამდენიმე დღით ადრე კი ბიზნესმენების დიდ ნაწილს პრობლემები შეექმნა. პარასკევს საგადასახადო სამსახურში მისულ ბუღალტრებს, საგადასახადო სამსახურის თანამშრომლებმა წერილობითი დეკლარაციების მიღებაზე უარი უთხრეს, თუმცა ცვლილებების შესახებ რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა ვერ მოახერხეს. არ არსებობს არც ფინანსთა მინისტრის, არც შემოსავლების სამსახურის უფროსის განკარგულება იმის შესახებ, რომ ბიზნეს-სუბიექტებისთვის ელექტრონული დეკლარირება სავალდებულოა, მეტიც, სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, ელექტრონული დეკლარაციის წარდგენა მხოლოდ ნებაყოფლობითია. აქედან გამომდინარე, ბიზნესმენების უმრავლესობას ელექტრონული დეკლარაციების წინასწარ მომზადების საშუალება არ ჰქონდათ, მეწარმეთა ნაწილი იმასაც აცხადებს, რომ ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე არსებული შეფერხების გამო დეკლარაციის ელექტრონული ვერსიის გაგზავნა გაუჭირდათ. ამ სიტუაციის გამო „ჩვენ თვითონ“ ითხოვს, რომ დეკლარაციის წარდგენის ვადა გაიზარდოს.

საგადასახადო სამსახურის ამ მოულოდნელი გადაწყვეტილების, მეტიც — დანაშაულებრივი თვითნებობის გამო, კერძო მეწარმეთა დიდი ნაწილი შესაძლოა ახალ წელს 200-ლარიანი ჯარიმით შეხვდეს. ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ საგადასახადო სამსახურის ეს ინიციატივა ბიზნესიდან დამატებითი შემოსავლების ამოღების მცდელობა, ან უბრალოდ საგადასახადო სამსახურის რიგითი მუშაკების თვითნებური გადაწყვეტილებაა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს — აცხადებენ მოძრაობაში და აქვე დასძენენ, რომ საგადასახადო ელექტრონული დეკლარირების სისტემის დანერგვა უდავოდ დადებითი მოვლენაა, თუმცა მისი სავალდებულობის შესახებ წინასწარ ერთი თვით ადრე მაინც უნდა გაკეთებულიყო განცხადება.

ბრიფინგს მსგავსი პრობლემის მქონე არც ერთი ბიზნესმენი არ დასწრებია, რადგან მათ პრეტენზიის გამოთქმის შემთხვევაში საგადასახადო ინსპექცია დამატებით პრობლემებს შეუქმნით, რაც გაცილებით დიდ ზარალს მოუტანთ, ვიდრე 200-ლარიანი ჯარიმაა. მათ მაგივრად „ჩვენ თვითონ“ ლაპარაკობს და ელექტრონული დეკლარაციების წარდგენის არგადავადების შემთხვევაში ფინანსთა სამინისტროს სასამართლოში უჩივლებენ.

**ანა წიწილაშვილი**

◎ ინფორმაცია

## ქრისტიან-დემოკრატებს მეცამეტე ხელფასი გაახსენდათ

**„ქრისტიან-დემოკრატები“ პრეზიდენტს საკუთარი დანაპირების შესრულებას და პედაგოგებისთვის მე-13 ხელფასის გაცემას სთხოვენ.**

**როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანმა განაცხადა, პედაგოგებმა 2007-2008 წელს მე-13 ხელფასი მიიღეს, თუმცა ხელისუფლებას 2009 წელს საკუთარი დანაპირები დაავიწყდა და მმართველი გუნდი დანერგილ მანკიერ ტრადიციას არ ღალატობს.**

**ახვლედიანის თქმით, „ქრისტიან-დემოკრატები“ განათლებისა და მეცნიერების პროფკავშირების სამართლიან მოთხოვნას უერთდება და პრეზიდენტს მიმართავენ, შეასრულოს პედაგოგებისთვის მიცემული დაპირება და მისცეს მათი კუთვნილი მე-13 ხელფასი.**

ექსპრესნიუსი

◎ მეცნიერებათა აკადემია

# განცხადება

**2009 წლის 11 დეკემბერს შედგა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება.**

**კრებამ პოეტ-აკადემიკოსად აირჩია მუხრან მაჭავარიანი.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრებად არჩეული არიან:**

**1. პროფესორი ფელიქს უნგერი (ავსტრია), კარდიოქირურგი;**

**2. პროფესორი ვინფრედ ბლუმი (ავსტრია), ნიადაგმცოდნე.**

◎ სამეგრელოს მხარე

# „დაიცავი საქართველოს“ ზუგდიდის ბიუროს წევრებმა უვადო შიმშილობა გამოაცხადეს

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის წინ ისევ დაიდგა საკანი, რომელშიც იმყოფებიან საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ ზუგდიდის ბიუროს ხელმძღვანელი კახა მიქაია და ამავე მოძრაობის წევრი დათო სორდია.**

3 დეკემბერს მათ მიმართეს პროტესტის უკიდურეს ფორმას — შიმშილობას, ხოლო 10 დეკემბრიდან კი უვადო შიმშილობა გამოაცხადეს. „ჩვენი მიზანი იყო 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად მოგვეწყო შეხვედრა ზუგდიდის საზოგადოებრიობასთან. ამ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებდნენ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები, უფლებადამცველები. მიუხედავად მრავალი თხოვნისა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მისამართით, გამოეყოთ საქტო დარბაზი, მათგან მივიღეთ დაუსაბუთებელი უარყოფითი პასუხი, რის შემდეგაც ჩვენ მივმართეთ პროტესტის უკიდურეს ფორმას — შიმშილობას, მაგრამ ამ უკიდურესმა მოქმედებამაც ვერ მოულბო გული ადგილობრივი ხელისუფლების მესვეურებს. გარდა იმისა, რომ ხელისუფლება ვერ



ერკვევა ადამიანის უფლებებისა და ინდივიდუალური თავისუფლების არსსა და ფუნქციებში, მათ გამოიჩინეს საოცარი შეუბრალებლობა და სისასტიკე თანამოქალაქეების მიმართ. ჩვენ ვაგრძელებთ უვადო შიმშილობის აქციას და ვიმედოვნებთ, ამით ზემოქმედება მოვახდინოთ საზოგადოებაზე. ასევე მივიღეთ გადაწყვეტილება დავაწესოთ ადამიანის უფლებების დამრღვევთა ყოველწლიური, სამარცხვინო მედალიონი, რომელზეც გამოისახება დასავლეთ ევროპის ბოლო დიქტატორების ბენიტო მუსოლინისა და ადოლფ ჰიტლერის სურათები. ამ მედალიონის ლაურეატები ჯილდოს მიიღებენ საფოსტო ამანათის მეშვეობით“, — თქვა კახა მიქაიამ.

**ლადო ქირია**

**ზუგდიდი.**

თვალსაზრისი

*რუსეთის ფედერაცია საფრანგეთისგან „მისტრალის“ ტიპის გემის შეძენას და ფრანგული მხარის ტექნიკური დახმარებითა და ლიცენზიით ამავე ტიპის ოთხი ახალი გემის აგებას აპირებს. რუსული მედიის ინფორმაციით, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გარიგება შედგა, საფრანგეთი რუსეთს ერთ ავიამზიდ გემს მიჰყიდის, რომელიც შესაბამისი სისტემებითა და რადარებით იქნება აღჭურვილი.*

*აღნიშნული შენაძენის ღირებულება დაახლოენით 400-500 მილიონი ევროა. ამას გარდა, რუსეთი მიიღებს ლიცენზიას ოთხი ახალი გემის ასაშენებლად, რაც აღნიშნული გარიგების ღირებულებას კიდევ 1-1,2 მილიონი ევროთი გაზრდის. აღნიშნული გარიგების შესახებ თავისი შეშფოთება უკვე გამოთქვეს უკრაინის, ბალტიისპირეთისა და საქართველოს მთავრობებმა. კერძოდ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ საქართველო „უკიდურესად შეშფოთებულია“ რუსეთის მიერ ამ ახალი ავიამზიდის შეძენის სურვილით. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ასევე დარწმუნებულია, რომ ამგვარი გემების გამოყენებას რუსეთი, როგორც ჩანს, შავ ზღვაში, საქართველოს წინააღმდეგ გეგმავს. რაც შეეხება თავად რუსეთის ფედერაციას, მისი სამხედრო საზღვაო ძალების სარდალმა, ადმირალმა ვლადიმერ ვისოცკიმ პირდაპირ განაცხადა, რომ კრემლისათვის ეს გემი საჭიროა მისი საზღვაო ძალების მიერ შავ ზღვაში უფრო ეფექტიანი ოპერაციების ჩასატარებლად. ვისოცკის არც ის დაუმალავს, რომ საქართველოს სანაპიროს დასაკავებლად „მისტრალით“ აღჭურვილ რუსულ ფლოტს სულ 40 წუთი დასჭირდება.*

*თავად „მისტრალი“ უნივერსალური სადესანტო გემია, რომელსაც მრავალი სხვადასხვა ფუნქცია გააჩნია. მისი ცურვის სიშორე 20 ათასი მილი/32 ათასი კილომეტრია, სრული სვლის სიჩქარე — 18 კვანძი. გემს ბორტზე 450-კაციანი დესანტის მიღება შეუძლია და 4 სადესანტო კატერით არის აღჭურვილი. მის ბაქანზე კი 40 ტანკი ან 70 ავტომობილი ეტევა. ამ საკითხში ფრანგული მხარის პოზიციის სავარაუდო მიზეზების გასარკვევად „პირველი“ სორბონის უნივერსიტეტის პროფესორს **ფრანსუაზა ტომს** დაუკავშირდა.*

# „მისტრალი“ — საფრანგეთის პატარა შეცდომა, თუ ევროპის მიერ სტალინთან დაშვებული საბედისწერო შეცდომის გაგრძელება?



ფრანგი მეცნიერის აზრით, ქართულმა მხარემ ამ საკითხში თავის აღმოსავლეთევროპელ პარტნიორებთან ერთად მაქსიმალური პროპაგანდა უნდა გასწიოს, რათა თვალი აუხილოს ევროპის საზოგადოების ფართო წრეებს ამ გარიგების საფრთხეზე არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ზოგადად ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული უშიშროებისთვის. „სახელმწიფო ინტერესების დაცვის ხელოვნება ქვეყნის დროებითი ინტერესებისა და გრძელვადიანი საჭიროებების ერთმანეთისგან ნათლად გამიჯნვაში მდგომარეობს. დღევანდელმა ეკონომიკურმა და ფინანსურმა კრიზისმა, როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყნის მმართველებს შორეული პერსპექტივით ხედვის უნარი შეუმცირა. ხსენებული ჭეშმარიტება არ შემოიფარგლება მხოლოდ ეკონომიკური სფეროთი, — იგი სტრატეგიულ საკითხებშიც იჩენს თავს. რუსეთისთვის „მისტრალის“ ტიპის ვერტმფრენმზიდის მიყიდვის არსებული შესაძლებლობა ზემოთ თქმულის ყველაზე ნათელი დემონსტრირებაა. შეიძლება კი, გონივრულ გადაწყვეტილებად ჩაითვალოს იმ ქვეყნის შეიარაღება, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინათ წელში გატეხა თავისი მეზობელი სახელმწიფო და ყველას თვალწინ, დაუფარავად ლამობს ყოფილ საბჭოთა სივრცეში დაკარგული ჰეგემონიის ძალით თუ ნებით აღდგენას?! ნიშნავს თუ არა ეს, რომ საფრანგეთი მზად არის, მოსკოვთან „სტრატეგიული პარტნიორობის“ სახელით მომავალში თვალი დახუჭოს კრემლის მიერ მომზადებულ აგრესიებზე, რომელიც შესაძლებელი გახდება 2008 წლის სექტემბერში რუსეთში დაწყებული ენერგიული სამხედრო რეფორმის დასრულებისთანავე?“ არგუმენტები, რომლებსაც მოცემულ შემთხვევაში იშველიებენ ჩვენი თუ სხვა დასავლელი ხელმძღვანელები, ემყარება იმ გარემოებას, რომ ეკონომიკური კრიზისი რუსეთს ხანგრძლივად დაასუსტებს და რომ ის (რუსეთი) ისედაც განწირულია დემოგრაფიული თუ სხვა საშინაო პრობლემების გამო და მაშ, რატომ უნდა ვთქვათ უარი ერთობ შემოსავლიან სამხედრო თანამშრომლობაზე? ევროპაში ერთობ დიდია რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის სურვილი: გვიზიდავს უკიდეგანო რუსული ბაზრის მოჩვენებითი მომხიბვლელობა; ინდუსტრიულ დასავლეთ ევროპასა და მართალია, ნაკლებად განვითარებულ, მაგრამ წიაღიასეულით მდიდარ რუსეთს შორის თითქოსდა არსებული თავსებადობა და გვჯერა, რომ ეკონომიკური კრიზისით შესუსტებული რუსეთი უსაფრთხო გახდება. ყოველივე ეს ნიშნავს იმის არცოდნას, თუ რა სამყაროში ცხოვრობენ კრემლის დღევადელი მმართველები. ქვეყნის შიდა სირთულეებს ისინი მხოლოდ მაშინ იღებენ მხედველობაში, თუ კი ეს ემუქრება მათ ძალაუფლებას. ამავე დროს, ამ ხალხის გავლენა მთლიანად რუსეთზე იმდენად დიდია, რომ პუტინის რეჟიმის შესარყევად ნავთობის ფასების გაცილებით უფრო ხანგრძლივი დაცემა არის საჭირო. მეორეს მხრივ, არსებული მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი კრემლის ხელისუფალთ სანატრელ შესაძლებლობებს სთავაზობს საგარეო პოლიტიკაში საკუთარი მოზღვავებული ამბიციების განსახორციელებლად. კრიზისი აჩქარებს ამერიკის მარგინალიზაციასა და რუსეთის მეზობლად მდებარე ქვეყნების უმრავლესობის დესტაბილიზაციას, რითაც რუსეთს საშუალებას აძლევს, მოახდინოს უკანასკნელთა ისედაც სუსტი პროდასავლური ელიტების ნეიტრალიზაცია. მიუხედავად პუტინისეული შიდა სისტემის აშკარა კრახისა, რუსეთის მმართველები, როგორც არასდროს, გრძნობენ საკუთარი ნეოიმპერიალისტური გეგმების და დასავლეთ ევროპის „ფინლანდიზაციის“ პროექტის განხორციელების მოახლოებას. მათი პრიორიტეტები აშკარაა: იმ დროს, როდესაც რუსეთის მთავრობა უსახსრობის გამო ფედერაციის მოსახლეობის ალწერის გადადებას მოითხოვდა, პუტინმა აფხაზეთში რუსული სამხედრო ბაზების მშენებლობისათვის 15 მილიარდი რუბლის გამოყოფა გადაწყვიტა.

ისტორიული პრეცედენტები სიფრთხილისკენ მოგვიწოდებს. 1945 წლის თებერვალში დასავლეთის ხელმძღვანელები იალტაში სტალინთან დათმობაზე წავიდნენ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სისხლისგან დაცლილი რუსეთი პრიორიტეტად დაისახავდა შიდა რეკონსტრუქციას, რისთვისაც მას დასავლური კაპიტალი და ტექნოლოგიები სჭირდებოდა და რომ ყოველივე ამის შედეგად მისი საგარეო პოლიტიკა უფრო შემრიგებლური გახდებოდა. მსგავსმა მიდგომამ სტალინს ნახევარი ევროპა ჩაუგდო ხელში. ამ მხრივ რუსეთის დღევანდელი ხელისუფალნი არაფრით განსხვავდებიან საკუთარი წინამორბედი ცარისტი თუ კომუნისტი მმართველებისგან: მათთვის რუსეთის, როგორც ზესახელმწიფოს შენარჩუნება, საკუთარი თანამოქალაქეების კეთილდღეობაზე მაღლა დგას. მაშ, ნუღარ შევიქმნით ილუზიებს, როდესაც რუსეთს თავდასხმითი იარაღით მოვამარაგებთ. ამით ჩვენ მხოლოდ დავთესავთ სამომავლო კრიზისის მარცვლებს. „მისტრალის“ ტიპის ხომალდი რუსეთის სამხედრო ფლოტის შესაძლებლობებს და მის ბრძოლისუნარიანობას მნიშვნელოვნად გაზრდის. „2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს ამგვარი ხომალდი შავი ზღვის რუსულ ფლოტს საშუალებას მისცემდა, საქართველოს შავი ზღვის სანაპირო 26 საათის ნაცვლად, 40 წუთში დაეკავებინა“, — განაცხადა რუსული სამხედრო ფლოტის მეთაურმა, ადმირალმა ვლადიმერ ვისოცკიმ. გაფრთხილება მიღებულია. რუსეთმა უკვე დაიწყო ნავთობითა და გაზით საკუთარი ინტერესების თავსმოხვევა ევროკავშირზე. საქმე ის არის, შევუწყობთ თუ არა ჩვენ სრულიად დაუფიქრებლად ხელს რუსული სამხედრო საფრთხის აღზევებას, რომელიც ესოდენ დიდხანს აწვა ევროპას ტვირთად?

**ლევან ჭითანავა**

საინფორმაციო სააგენტო „პირველი“

არჩევნები

# აფხაზური „საერთაშორისო პასპორტები“ მხოლოდ მათთვის იქმნება, ვისაც ნიკარაგუასა და ვენესუელაში ჩასვლა არ დაეზარება



***აფხაზეთში** დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნები ტარდა. წინასაარჩევნოდ მოქმედი დე ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში გალის რაიონის ქართულ მოსახლეობას შეხვდა და რამდენიმე დაპირება გაახმიანა. ამ დაპირებებზე, მოსალოდნელ დაძაბულობასა და დე ფაქტო არჩევნების მოსალოდნელ შედეგებზე „პირველი“ კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილს ესაუბრა.*

**—წინასაარჩევნოდ გალში იმყოფებოდა სერგეი ბაღაფში, რომელმაც რამდენიმე საინტერესო დაპირება გაახმაურა. კერძოდ, ბაღაფშმა მაისიდან საერთაშორისო პასპორტების გაცემაზე ისაუბრა. რამდენად შესაძლებელია აფხაზეთში მსგავსი პასპორტების გაცემა?**

— ასეთი პასპორტების გაცემა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, თუმცა მისით სარგებლობა მხოლოდ იმ ქვეყნებში იქნება შესაძლებელი, რომლებიც აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებენ. თუ ვინმეს ვენესუელაში და ნიკარაგუაში ჩასვლა არ დაეზარება, შეეძლება, უპრობლემოდ ისარგებლოს ჩვეულებრივი აფხაზური პასპორტით. ასე რომ, ამ პასპორტებს ალბათ, საერთაშორისო დაცვის მექანიზმი ექნება, მაგრამ ძალა — მარტო 3 ქვეყანაში: რუსეთში, ნიკარაგუასა და ვენესუელაში.

**— ამავე შეხვედრაზე ბაღაფშმა აღნიშნა, რომ ენგურის ხიდზე 5 გადასასვლელი გაიხსნება და საერთოდ, ის ეცდება, ქართულ მხარესთან საერთო ენა გამონახოს, რათა მოსახლეობას გადაადგილების პრობლემა არ შეექმნას. თქვენი აზრით, რას შეიძლება, ნიშნავდეს ბაღაფშის სიტყვები?**

— ვფიქრობ, ეს უბრალოდ წინაასარჩევნო კამპანიის ნაწილი იყო და ბაღაფში ცდილობდა, გალის ქართული მოსახლეობის კეთილგანწყობა დაემსახურებინა. ეჭვი მეპარება, ბაღაფშმა იმას მიაღწიოს, რომ საქართველომ აფხაზეთის დამოკიდებლობა აღიაროს, მაგრამ თუ ეს საუბრები რაიმე საერთო ღონისძიებებს, მაგალითად, განათლების ან ეკონომიკურ სფეროებში თანამშრომლობას ემსახურება, ეს ცუდი არ იქნება. დავუშვათ, ქართული მხარე აფხაზურ ატესტატს აღიარებს, მაშინ იქაურ მოსწავლეებს აქ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა მიეცემათ, რისი სურვილიც მათ აქვთ, თუმცა ეს აფხაზეთის აღიარებას არ ნიშნავს.



**— მოგეხსენებათ, აფხაზეთის დე ფაქტო არჩევნები აფხაზეთის ტერიტორიის გარეთაც ჩატარდა, რაც თავად აფხაზური ე.წ. კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დარღვევაა. გამოითქვა აზრი, რომ არჩევნების შემდეგ შიდა პოლიტიკური კრიზისია მოსალოდნელი. თქვენ რა აზრისა ხართ აღნიშნულთან დაკავშირებით?**

— ვფიქრობ, ეს არჩევნების გაყალბების მცდელობა იყო და ხელისუფლების სასარგებლოდ ხდებოდა. იმ შემთხვევაში, თუ ბაღაფში აფხაზეთში საჭირო ხმებს ვერ მოიპოვებდა, მისი გაყვანა სწორედ იმ საარჩევნო უბნების ხმების ხარჯზე მოხდებოდა, რომლებიც აფხაზეთის ფარგლებს გარეთ მოქმედებდა. ხოლო თუ არჩევნების გაყალბება მოხდებოდა და ამას ოპოზიცია სასამართლოში დაამტკიცებდა, დაძაბულობა ნამდვილად მოსალოდნელი იყო, თუმცა არა მგონია, ის რაიმე შეუქცევად პროცესში გადაზრდილიყო.

**ირინა არდაშელია**

მხარე

*როგორი იქნება ხვალინდელი ფოთი, დიდი ფაზისური ისტორიის მემკვიდრე, როგორც საქართველოს ეკონომიკურ-კულტურული და სავაჭრო ცენტრი, რომელიც, დიდი ნიკო ნიკოლაძის არ იყოს, „ოდესღაც აჯობებს ოდესასაც?“*

*მინდა, ათეული წლების იქეთ გავიხედო და სრულიად სხვა ქალაქი დავინახო — ქალაქი ზღვისკენ მიბრუნებული, თანამედროვე პლაჟებით, ახალი სასტუმროებით, ღიმილიანი ფოთელებით, რომელთა საარსებო კალათა დღევანდელივით მწირი კი არა, პირთამდე იქნება სავსე. არ იფიქროთ, პირადული გვაღელვებს მხოლოდ, მაგრამ მიზანი ხომ ადამიანია, რომელიც ასე ჩაიკარგა წუთისოფლის ორომტრიალში! ამ ფიქრებითა და იმედებით სასაუბროდ ვესტუმრეთ თვითმმართველი ქალაქის მერს ვანო სალინაძეს, რომელმაც, ათასი გასაჭირის მიუხედავად, მაინც ბევრი რამის გაკეთება შეძლო ამ პატარა საზღვაო ქალაქში. თუმცა, ადამიანები მალე ვივიწყებთ ყოველივეს და სულ რაღაც ახლის მოლოდინში ვართ. იქნებ, ასე სჯობდეს?*

# ინათებს ფაზისის კანდელი?




**— ბატონო ვანო, ქალაქ ფოთის, როგორც ევრაზიის ფორპოსტის, ინფრასტრუქტურა (შინაგანი თუ ვიზუალური) არ შეეფერება საპორტო ქალაქის იერსახეს. ქალაქი ცალკეა, ნავსადგური ცალკე, ეს უკანასკნელი კი, ასე თუ ისე, ვითარდება.**

— ქალაქის ინფრასტრუქტურა თანდათანობით ვითარდება. ქალაქში ბევრი პრობლემა დაგროვდა. ეს ეხებოდა გზებს, განათებას, წყალსადენკანალიზაციას, სახლების გადახურვასა და ა.შ. ჩვენ ამ 5 წლის განმავლობაში შევადგინეთ ამ პრობლემების გადაწყვეტის პროგრამა და თანდათანობით ვაგვარებთ მათ. მაგალითად ლიფტების პრობლემა წელს გვარდება. ფაქტობრივად ყველა სახლი გადავხურეთ და მიმდინარეობს დარჩენილი მცირე ნაწილის გადახურვა. 40 წლის განმავლობაში პირველად ავაშენეთ მძლავრი სანიაღვრე სატუმბი სადგური. ასევე წინსვლაა გზების მოასფალტების მხრივ, გაკეთდა სანიაღვრე არხები (ჩალაგდა ბეტონის ფილებიძ. ვფიქრობთ, რომ 2-3 წელიწადში ქალაქის იერ-სახე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. დაიწყება შემობრუნება ზღვისკენ, რამეთუ ეს სიკეთე არ არის სათანადოდ გამოყენებული, უკვე არიან ინვესტორები.

**— თქვენ გამოცდილების გაზიარების მიზნით იმყოფებოდით „აბრეშუმის გზის“ ნაკვალევზე, კერძოდ, ჩინეთში. როგორია შთაბეჭდილებები. რას უნდა ველოდოთ. ჩინელები ხომ არ აპირებენ ინვესტიციების ჩადებას? ახალ დაძმობილებულ საპორტო ქალაქში კარგა ხანია არსებობს თავისუფალი სავაჭრო ზონა, რა კავშირები იკვეთება? ისე ფოთში ბლომად არიან ჩინელები, მათ მაღაზიები აქვთ. მგონი, აქ აპირებენ სამუდამოდ ცხოვრებას და ისე ხომ არ მოხდება სტუმრების სტატუსში აღმოვჩნდეთ ჩვენსავე ქალაქში. მით უფრო, თუ აღნიშნულ ზონაშიც ყველამ მუშახელი თავისი ქვეყნიდან ჩამოიყვანა, ალბათ, ასე იქნება?**

— 2 კვირის წინათ ქალაქის დელეგაცია იმყოფებოდა ჩინეთის ქალაქ ცინდაოში, რომელიც არის საკმაოდ ლამაზი, თანამედროვე ქალაქი 8-მილიონიანი მოსახლეობით. ქალაქს აქვს დიდი ნავსადგური და თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. ჩინეთი მსოფლიო ეკონომიკაში წამყვანი სახელმწიფოა. ამიტომაც ამ ურთიერთობას პრიორიტეტს ვანიჭებთ. შევხვდით ქალაქის მერიის, საწარმოების ხელმძღვანელებს, მომავალ წელს ველოდებით დელეგაციას ცინდაოდან, რათა გაგრძელდეს ქალაქებს შორის საქმიანი ურთიერთობები. ამ მიმართულებით მუშაობა ხელს შეუწყობს მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვას. ეს არ ნიშნავს ჩინელების ფოთში ჩამოსახლებას. ეს ნიშნავს ჩინური ფულის შემოტანას ფოთში.

**— როგორ იკიდებს ფეხს თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ფოთში?**

— რაც შეეხება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას, ყველა ხედავს, რომ მშენებლობები ინტენსიურად მიმდინარეობს. მომავალ წელს დაიწყება საწარმოების მშენებლობა. ჯერჯერობით 8 საწარმოა, 4-თან მიმდინარეობს მოლაპარაკება. ინვესტიციების შემოტანის პროცესი გრძელდება.

**— როგორია ქალაქის ბიუჯეტი, წინ მივდივართ თუ უკან? რა გეგმები გაქვთ?**

— 2009 წელი ეკონომიკურად ნელი წელი იყო. 2010 წლის ბიუჯეტში არის მნიშვნელოვანი წინსვლა. ქალაქის ბიუჯეტი გაიზრდება 20 მილიონამდე. საქართველოს პრეზიდენტს დიდი გეგმები აქვს ფოთის, როგორც საპორტო ქალაქის განვითარების თვალსაზრისით. დაიწყება საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობაც, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის და ყველა სახის ბიზნესის განვითარებას.

სამწუხაროდ, ქალაქი ზურგით მოექცა ზღვიდან, ამ ზოლში იგეგმება თანამედროვე ინფრასტრუქტურის მოწყობა. ასევე ცალკე საუბრის თემაა მალთაყვა — როგორც კურორტი. 2010 წლის იანვრიდან იწყება გაზის მილსადენის მშენებლობა, რომელიც დაახლოებით 30 მილიონი დოლარი დაჯდება. გარდა ამისა, ვიცით, რომ პრობლემად რჩება ფოთის 24-საათიანი წყალმომარაგება შიდაქსელის გაუმართაობის გამო. ამიტომ გაკეთდა წყალმომარაგების სრული რეაბილიტაციის პროექტი. პრეზიდენტმა უკვე გამოჰყო თანხები პირველი ეტაპის სამუშაოთა დასამთავრებლად, რომელიც მოიცავს ნაბადისა და კუნძულის უბანს (5 მილიონი დოლარიძ. სამუშაოები დაიწყება 2010 წლის გაზაფხულზე. ამასთანავე, მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს მთავრობამ ქალაქის ბიუჯეტის დახმარების მიზნით გამოყო დაახლოებით 4 მილიონი ლარი, რომელიც მოხმარდება ბიუჯეტის შემოსავალ ნაწილში არსებული პრობლემების მოგვარებას.

**— საუკუნის პრობლემაა ზღვის ნაპირგამაგრება, რა კეთდება ამ მიმართულებით?**

— პორტის ჩრდილოეთით დაგეგმილი არის ახალი ნავსადგურის მშენებლობა, რომელიც დაპროექტების ფაზაშია, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული სანაპირო ზოლის დაცვას. ხოლო ნავსადგურის სამხრეთით, რომელშიც შედის მალთაყვის ტერიტორია, საჭიროა დამატებითი ინვესტიციები, რათა სანაპირო ზოლი იყოს დაცული.

**— ბატონო ვანო, თქვენ თითქმის 5 წელია ხელმძღვანელობთ ქალაქს. რა პრობლემებია დღეს რეალურად თვითმმართველობის თვალსაზრისით, მართლა ბოლომდე დამოუკიდებლები ხართ, თუ არის ზეწოლა, რა არის საჭირო ამ სამსახურის სრულყოფისათვის.**

— მინდა ვთქვა, რომ საკრებულოსთან ერთად გადაწყვეტილების მიღებაში დამოუკიდებლები ვართ. რა თქმა უნდა, არის სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხები, რომელთაც ვათანხმებთ საქართველოს მთავრობასთან. ჩვენ კარგი, საქმიანი ურთიერთობები გვაქვს ყველა სამინისტროსთან და უწყებასთან. ინტენსიურად ვთანამშრომლობთ ნავსადგურთან, ამჟამად ვახორციელებთ ერთობლივ პროექტს: ჯავახიშვილის ქუჩის გაფართოება, სანიაღვრე არხების, მესერის მოწესრიგება და ქუჩის განათება.

**— მალე ადგილობრივი არჩევნები ჩატარდება. ფოთში მართლაც ვერავინ იტყვის, რომ თქვენ ზეწოლას ახდენდით, მაგრამ როგორ ფიქრობთ, ქალაქის მერი პირდაპირი წესით უნდა აირჩიონ თუ არა. რატომღაც არავინ არ ლაპარაკობს გუბერნატორის არჩევნებზე.**

— მომავალი წლის მაისში იგეგმება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე ქალაქის მერი საკრებულომ უნდა აირჩიოს თავისი წევრებისგან. ყველა ღონეს ვიხმართ, რომ მაისის არჩევნები ჩატარდეს სამართლიანად.

ჩვენ ხალხთან სალაპარაკო ბევრი გვაქვს იმიტომ, რომ ბევრი გაკეთდა. თუმცა, გასაკეთებელიც ბევრია. რაც შეეხება გუბერნატორს, ის პრეზიდენტის წარმომადგენელია რეგიონში და მის არჩევნებზე ჯერჯერობით საუბარი არ არის.

**— როგორი ურთიერთობა გაქვთ ეკლესიასთან. ბიუჯეტი თუ ეხმარება რეკონსტრუქცია-მშენებლობაში?**

— ეკლესიასთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. სწორედ ჩვენი ინიციატივით გადაიყვანეს თეატრი სხვა შენობაში და დაიწყო ახალი თეატრის მშენებლობა. ჩვენ ვეხმარებით ეკლესიას და კვლავაც გავაგრძელებთ დახმარებას.

**— სამწუხაროდ, ექვქვეშ დააყენეს კიდევ ერთი საკითხი ფოთი, როგორც ფეხბურთის აკვანი. თითქოს ინგლისელებს პირველი გუნდები არ ჩამოეყალიბებინოთ აქ (ზიბერტი). იქნებ ფეხბურთის კარუზოს — ბორის პაიჭაძესაც აქ არ აუდგამს ფეხი და, საერთოდ, შეიძლება ფოთს გუნდი „ბ“ თუ „დ“ კლასში ჰყავდეს? ქალაქის ბიუჯეტიდან თუ არის გათვლილი რამე ამ მხრივ?**

— რაც შეეხება იმას, რომ ფოთი ფეხბურთის აკვანია, ეს არ უნდა იყოს საეჭვო. მომავალ წელს იუბილესაც აღვნიშნავთ. ადგილობრივი ბიუჯეტი 2 წელია აფინანსებს ფოთის „კოლხეთს“. მიზნად დავისახეთ, რომ მომავალ წელს იგი უმაღლეს ლიგაში გადავიდეს. პირველი წრე არც ისე ცუდი შედეგებით დავამთავრეთ. ვაპირებთ 5-6 ახალი მოთამაშის მოწვევას, რათა გავაძლიეროთ გუნდი და მივაღწიოთ დასახულ მიზანს. იმედი მაქვს, მომავალ წელს ქალაქ ფოთს უმაღლეს ლიგაში ღირსეული გუნდი ეყოლება.

**ესაუბრა**
**ზურაბ აბრალავა**
**„სრ“ საკ. კორ.**

ლაურეატები

# კვლევის მაღალი დონითა და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობით გამორჩეული

**„არაწრფივი დინამიკის მეთოდების გამოყენება სეისმოლოგიის პრობლემების გადასაწყვეტად“, — ასე ჰქვია ნაშრომთა ციკლს, რომლისთვისაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მიხეილ ნოდიას სახელობის პრემია მიანიჭა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს თამაზ ჭელიძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორებს თემურ მაჭარაშვილსა და ოთარ ლურსმანაშვილს.**

გამოჩენილი გეოფიზიკოსი, უხუცესი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოს ბენედიქტე ბალავაძე (ბატონი ბენო წლეულს, ზაფხულში, საუკუნისა შესრულდა!ძ თავის წარდგინებაში ასეთ შეფასებას აძლევს ხსენებულ სერიას:

„ციკლი გამოირჩევა მეცნიერული კვლევის მაღალი დონით და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობით. კერძოდ, არასწრაფი დინამიკის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით დეტალურად შეისწავლება ენგურის მაღლივი კაშხლის რეზერვუარის დატვირთვა-განტვირთვის გავლენა ლოკალურ სეისმურობაზე... ციკლში განვითარებულია ახალი მეთოდები ისეთი პრობლემების გადასაწყვეტად, როგორიც მიწისძვრების ინდუცირებისა და სინქრონიზაციის მექანიზმებია. ინდუცირებული სეისმურობის პრობლემა კი უთუოდ წამოიჭრება გაზის მიწისქვეშა საცავის მოწყობისას ან წყლის ახალი დიდი რეზერვუარების მშენებლობისას...“



ვესაუბრებით თამაზ ჭელიძეს:

**— რამდენმა ნაშრომმა შეადგინა პრემირებული სერია, სად და როდის გამოქვეყნდნენ ისინი, საერთო ავტორობით იქმნებოდნენ?**

— ჩვენ წარვადგინეთ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული თხუთმეტიოდე ერთობლივი გამოკვლევა, რომლებიც საქართველოს გარდა, უკრაინაში, ჰოლანდიაში, ინგლისში დაიბეჭდა. ბევრი მათგანი მაღალი იმპაქტფაქტორის მქონე, ანუ ერთობ ავტორიტეტულ საერთაშორისო ჟურნალში დაიბეჭდა.

**— თქვენი შედეგები ალბათ სხვადასხვა, ასევე საერთაშორისო კონფერენციასა თუ სიმპოზიუმსაც მოხსენდა...**

— რა თქმა უნდა. ზეპირი და სასტენდო მოხსენებების ფორმით ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ ავსტრიაში, გერმანიაში, საბერძნეთში, სხვაგანაც გამართულ სამეცნიერო ფორუმებში.

**— რას ნიშნავს გეოფიზიკოსთა თვალთახედვით „არაწრფივი დინამიკა“, ციკლის სათაურში გახმიანებული?**

— ერთ-ერთი, ეგებ სულაც ძირითადი ნიშნით იმას, რომ რაიმე მცირე ზემოქმედებას მეორე სისტემაზე შეუძლია ძლიერი ეფექტის გამოწვევა. ეს ეფექტი 1960-იან წლებში აღმოაჩინა მეტეოროლოგმა ედუარდ ლორენცმა. მასვე ეკუთვნის ცნობილი ფრაზა: სადღაც ბრაზილიაში პეპლის ფრთების რხევას ძალუძს ტექსასის შტატში ქარიშხლის ამოვარდნა, რაც ატმოსფეროს არაწრფივობის შედეგია. სწორედ ამიტომ ვერ ხერხდება გრძელვადიანი პროგნოზი სტიქიური მოვლენებისა ატმოსფეროში, დედამიწაზე თუ იმის სიღრმეში.

**— მე მგონი, ბატონო რამაზ, ასე მივდივართ თქვენი კვლევების არსისკენ...**

— დიახ, ყოველივე ეს პირდაპირ ეხება ჩვენს სამუშაოებს — სეისმური პროცესების მოდელირებას; როგორც ბოლო ხანებში მიღებული შედეგებიდან ჩანს, მიწისძვრები არის ტექტონიკური რღვევის ბაგეების შეხების სიბრტყეში არამდგრადი ხახუნის ნაყოფი; ვინაიდან მიწისძვრების კერაში მიმდინარე პროცესებზე უშუალო დაკვირვება ჯერჯერობთი მიუღწეველია, მთელს მსოფლიოში ფართოდ იყენებენ ლაბორატორიულ ეგრეთ წოდებულ მცოცავი ზამბარის სისტემას, როგორც სეისმური პროცესის მოდელს, რაც ჩვენ გავაკეთეთ უცხოელებთან ერთად.

ძირითადი კი, რასაც ჩვენ განსხვავებულს ვიქმთ, არის ის, რომ შევისწავლით სეისმური პროცესის მოდელის მგრძნობიარობას მცირე გარეშე ზემოქმედებაზე.

**— თქვენს თანამშრომლებზე, თანალაურეატებზე ხომ არ ეტყოდით მკითხველს რამეს?**

— რატომაც არა... თემურ მაჭარაშვილი გახლავთ მსოფლიო დონის სპეციალისტი არაწრფივი დინამიკის სფეროში, კერძოდ, დროითი მწკრივების ანალიზში.

ოთარ ლურსმანაშვილი ბრწყინვალე ექსპერიმენტატორია ჩინებული მეცნიერული ალღოთი.

**— ბატონო თამაზ, საამაყოა საქართველოში გეოფიზიკური მეცნიერების ფუძემდებლის, მიხეილ ნოდიას სახელობის პრემიის ლაურეატობა, მით უფრო, რომ თქვენ სამნი პირველი ხართ. მომილოცნია...**

**თამაზ ებანოიძე**

შორეული ახლობელი

***5-6-ათასიანი ქართული დიასპორა კვიპროსში დიდი ხანია არსებობს. სულ ახლახან კი კვიპროსში საქართველოს საელჩოს ძალისხმევით, ქართული სათვისტომო „ძალა ერთობაშია“ ოფიციალურად დაფუძნდა — განხორციელდა იურიდიული რეგისტრაცია და სათვისტომოს იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭა. საქართველოს ინტერესი კვიპროსში ქართველების გარდა ღალიის ღვთისმშობლის მონასტერია, რომლის კონსერვაციის სამუშაოები უკვე 2 წელია მიმდინარეობს. საქართველოსთვის ამ მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ „ჯი-ეიჩ-ენი“ კვიპროსში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ვლადიმერ კონსტანდინიდს ესაუბრა.***

# კვიპროსში თურმე 6 ათასი ქართველი ცხოვრობს!

**— ბ-ნო ვლადიმერ, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში კვიპროსი საქართველოს ყურადღების ცენტრში მოექცა. ქართული დიასპორის ზრდასთან ერთად, ღალიის ღვთისმშობლის მონასტერი გახდა ერთ-ერთი დამაკავშირებელი ორ ქვეყანას შორის. საინტერესოა, რა ხდება ღალიის მონასტრის ირგვლივ, რა ეტაპზეა იქ მიმდინარე სამუშაოები?**

— 2006 წლიდან დღემდე ჩვენმა არქეოლოგების ჯგუფმა ხუთი ექსპედიცია მოაწყო ღალიის მონასტერზე. მეხუთე ექსპედიცია ოქტომბერში ჩატარდა. ექსპედიციების მიზანი იყო ღალიის ღვთისმშობლის მონასტრის აღდგენითი სამუშაოსა და არქეოლოგიური გათხრების ჩატარება.

მეხუთე ექსპედიციის ფარგლებში მოხდა ამავე ტერიტორიაზე მდებარე წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის არქეოლოგიური დამუშავება. ღალიის მონასტრის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს სათავსო, სამონასტრო, საზერო კელია, რომელსაც ასევე სამარხის ფუნქცია ჰქონდა.

**— რა სამუშაოა ჩასატარებელი?**

— დაგეგმილი გვაქვს, მოხდეს ამ ძეგლების კონსერვაცია, რასაც კვიპროსის მხარე იღებს საკუთარ თავზე. შემდგომი სამუშაო კი, რომელიც ითვალისწინებს ამ ძეგლის საბოლოო დაცვასა და გადახურვას, მოხდება ერთობლივი ძალისხმევით. ჩაერთვება ქართული მხარეც და თანადაფინანსებითა და თანამშრომლობის საწყისებზე მოხდება ამ ძეგლის გადახურვა.

იმედი გვაქვს, რომ როდესაც ძეგლი სათანადოდ დამუშავდება, ქართული იქნება ძირითად ტურისტულ რუკაში, როგორც ადგილობრივებისთვის, ისე კვიპროსში ჩამოსული ტურისტებისთვის.

**— ცნობილია, რომ ღალიის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ქართული ეკლესიის მშენებლობაა გადაწყვეტილი. ვინ ააშენებს და, შესაბამისად, ვინ გაიღებს მშენებლობისთვის საჭირო სახსრებს?**

— გვაქვს მოლაპარაკება კვიპროსის ეკლესიასთან და დაწყებული გვაქვს მოლაპარაკება სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებთან იმის თაობაზე, რომ მოხდეს ქართული ეკლესიის (ვგულისხმობ ქართული არქიტექტურით) აშენება ამ ტერიტორიაზე. ეს იქნება, გარკვეულწილად სამონასტრო კომპლექსის აღდგენა. ამაზე უკვე საპატრიარქოსთანაც გვქონდა საუბარი, ანუ პატრიარქის კურთხევა მიღებულია.

რაც შეეხება დაფინანსებას, შექმნილია შესაბამისი ფონდი საქართველოში, რომელსაც ჰქვია „ღალიის ღვთისმშობლის მონასტრის ფონდი“ და შემოწირულობების იმედი გვაქვს. გარკვეულ პერიოდში მოხდება შესაბამისი ნებართვის მიღება, რის შემდეგაც დაიწყება ახალი ეკლესიის მშენებლობა. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი საქართველოსთვის, ქართული საზოგადოებისთვის, რადგან რამდენიმე საუკუნეა, ქართველებს არ მისცემიათ იმის შესაძლებლობა, უცხო სახელმწიფოში ქართული ეკლესია, ქართული არქიტექტურით აეშენებინათ.

**— კვიპროსის სახელმწიფო სტრუქტურები როგორ უყურებენ ამ წამოწყებას?**

— თუ კვიპროსის ეკლესიამ თანხმობა განაცხადა, ნაკლებსავარაუდოა, რომ სახელმწიფოს რაიმე ჰქონდეს საწინააღმდეგო. თუმცა გვინდა, უმაღლესი თანამდებობის პირებისგან გვქონდეს დასტური მიღებული. შესაბამისად, მათთან შეხვედრის მიზანი ასევე იქნება, რომ ტექნიკური მხარეები შეთანხმდნენ, ანუ საუბარი




იქნება პირველ რიგში ნებართვის მიღებაზე, მიწის ნაკვეთი უნდა გამოიყოს. საჭიროა მთელი რიგი სამსახურების — ეკოლოგიის მიწის კადასტრის, სატყეო დეპარტამენტის და სხვათა თანხმობებიც.

**— თქვენ აღნიშნეთ, ეკლესია ქართული არქიტექტურით აშენდებაო, არის თუ არა მზად პროექტი?**

— პროექტი შემდეგი ეტაპი იქნება, რომელსაც აუცილებლად მოითხოვს კვიპროსული მხარე, იმიტომ რომ, ბუნებრივია, როდესაც იწყებ მშენებლობას, აუცილებელია, მეორე მხარეს ჰქონდეს მონაცემი, რის აშენებას ვაპირებთ, რა მოცულობის ეკლესიის და დამხმარე ნაგებობების მშენებლობას ვგეგმავთ.

ასეთი პროექტი ჯერჯერობით დამტკიცებული სახით არ არსებობს. თუმცა ვიცით, რომ საპატრიარქოს ამ კუთხით მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს. არიან არქიტექტორები, რომლებსაც მიეცემათ შესაძლებლობა, წარმოადგინონ თავიანთი პროექტები და შემდეგ მოხდება უკვე საუკეთესო ვარიანტის არჩევა, შეჯერება.

ჯერჯერობით ასეთი პროექტი არ დევს. არის მაკეტი, რომელიც ასახავს, რა იყო ღალიის მონასტერი წარსულში, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ამ მაკეტის საფუძველზე აშენება ვერ მოხერხდება, იმიტომ რომ ამ მაკეტის მიხედვით ყოფილ სამონასტრო კომპლექსში ბიზანტიური სტილი ჭარბობდა. ჩვენი სურვილია, ახალი ეკლესია იყოს ქართული, რაზედაც კვიპროსის ეკლესიაც თანახმაა.

**— თქვენ ახსენეთ, რომ იმედოვნებთ დიასპორის აქტიურობას. საინტერესოა, რა მდგომარეობაშია კვიპროსში ქართული დიასპორა?**

— დაუზუსტებელი მონაცემებით, კვიპროსში დაახლოებით 5-6 ათასი ქართველი ცხოვრობს და საქმიანობს. ბოლო პერიოდში ეკონომიკური კრიზისის გამო ბევრ ქართველს მოუხდა საქართველოში დაბრუნება. გართულდა სამუშაოს შენარჩუნება ან პოვნა. ქართველების დიდი ნაწილი — მამაკაცები, დაკავებული არიან ძირითადად ფიზიკური სამუშაოთი ან სამშენებლო სექტორში, ქალები — ოჯახებში.

შემიძლია ვთქვა, რომ საემიგრაციო პოლიტიკა არ გამოირჩევა განსაკუთრებული სიმკაცრით ჩვენი მოქალაქეების მიმართ. იმდენად, რამდენადაც ეს არის ევროკავშირის სახელმწიფო და სავიზო და საემიგრაციო პოლიტიკა მთლიანად ევროკავშირის გენერალურ პოლიტიკაზეა მიბმული, ბუნებრივია, გართულებულია გარკვეული პროცედურები, ანუ კვიპროსში ჩამოსვლა.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე ცდილობს ქვეყანაში მოსახვედრად გამოიყენოს არაკონტროლირებადი ტერიტორია, რაც ხშირ შემთხვევაში გარკვეულ რისკთანაც არის დაკავშირებული.

დიასპორას რაც შეეხება, მივალწიეთ იმას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში, საემიგრაციო სამსახურში, ხდება ოფიციალური რეგისტრაცია, ანუ გაფორმება, როგორც იურიდიული პირის, რომელსაც ეწოდა „ძალა ერთობაშია“.

ფუნქციონირებს საკვირაო სკოლა ნიქოზიაში, პაფოსში, ლიმასოლში. მართალია, ზოგჯერ ხდება ხოლმე დროებით შეფერხებები, რისი მიზეზიც ფინანსებთანაა დაკავშირებული.

**— უდავოა, რომ მეტწილად ფიზიკური შრომით დაკავებული ადამიანების სოციალური გარანტიები ვერ იქნება მაქსიმალურად უზრუნველყოფილი. მეტიც — ცხადია, მათ აქვთ პრობლემებიც, რამდენად ურთიერთობენ ისინი საელჩოსთან და რა წარმოადგენს მათ მთავარ პრობლემას?**

— ხშირია შემთხვევა, როდესაც ისინი ითხოვენ არსებული დოკუმენტების, ქართული პასპორტის ან პირადობის მოწმობის გაგრძელებას, ან ახლის მიღებას. არის ერთი მეტად დელიკატური საკითხი-პრობლემა: ქვეყანაში არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან შემოსვლა. ეს პრობლემა ხომ ჩვენთვისაც კარგადაა ნაცნობი. ასეთ შემთხვევებში ჩვენი მოქმედების არეალი მნიშვნელოვნადაა შეზღუდული. არ დავმალავ, არის სხვა ერთი შეხედვით მეტად კურიოზული, მაგრამ სიმპტომატური შემთხვევებიც: ადამიანები პოლიტიკური ან სხვა მოსაზრების გამო უარს აცხადებენ საქართველოს მოქალაქეობაზე, ადამიანურ ენაზე რომ ვთქვათ, ლამის მიწასთან ასწორებენ თავიანთ ქვეყანას და პრობლემის წარმოქმნისას კვლავ ამ ქვეყანას სთხოვენ დახმარებას. ერთადერთი, რაც ასეთ დროს შეგვიძლია გავაკეთოთ, ისაა, რომ გავცეთ საქართველოში დასაბრუნებელი დოკუმენტი. ეს კი ხშირ შემთხვევაში მათ უკმაყოფილებას იწვევს. თუმცა ბევრი მათგანი გაგებით ეკიდება ამ საკითხს.

ვეხმარებით ადამიანებს რიგი სანოტარო მოქმედებების შესრულებაში. არის შემთხვევები, როდესაც ხდება მათი დაკავება და ითხოვენ დახმარებას სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში. ეს არის ყოველდღიური ჩვეულებრივი საქმეები და რაიმე განსაკუთრებული ამ მხრივ არ ხდება. რა თქმა უნდა, გვაქვს სხვადასხვა კულტურული და საზოგადოებრივი თავყრილობაც, რომლის დროსაც ყველა ცდილობს, სამშობლოს მოეფეროს.

**— მაინც რა არის ის ძირითადი ფასეულობა, რომელიც საქართველოსა და კვიპროსს აახლოებს?**

— კვიპროსი არის ტრადიციულად დაახლოებით იმავე ფასეულობების მატარებელი, როგორიც საქართველოა. ეს არის ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული კულტურის კერა. ადამიანები, საზოგადოება არის მსგავსი ჩვენი საზოგადოებისა. ეს იძლევა ნიადაგს იმისა, რომ ჩვენს ქვეყნებს ჰქონდეთ მჭიდრო და კარგი ურთიერთობა.

არ ვიცი, რამდენად არის ეს ცნობილი ჩვენი საზოგადოებისთვის, მაგრამ საქართველო ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ეხმარებოდა კვიპროსს გაჭირვების დროს. მაშინ არც საქართველოს ჰქონდა დალხენილი ცხოვრება. კიკოსის მონასტერი, სადაც ერეკლე მეფის მიერ გამოგზავნილი შემოწირულობებია, მაგალითია ამ თანადგომისა. მქონდა შესაძლებლობა, მენახა კვიპროსში საცავები, ბიბლიოთეკა, სადაც საუბარია იმაზე, რომ საქართველო ძალიან დიდ დახმარებას (და მათ შორის მატერიალურს) უწევდა კვიპროსს, განსაკუთრებით კვიპროსის ეკლესიებს.

ბუნებრივია, ახლა ეს სახელმწიფოებს შორისაც აისახება, ამის მაგალითი იყო ჩვენი საელჩოს გახსნა კვიპროსში. ეს იყო ჩვენი გადაწყვეტილება, რითიც ხაზი გაესვა იმას, რომ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ ურთიერთობებს და რა საკვირველია, იმასაც, რომ კვიპროსი დღეს ევროკავშირის ქვეყანაა, რასაკვირველია თავისი პრობლემებით, თავისი განსაკუთრებული სპეციფიკური სიტუაციით, მიუხედავად ამისა, ეს შეიძლება ბევრისთვის და ჩვენთვისაც მაგალითი იყოს, როგორ შეიძლება მიღწეული იქნას წარმატებები, მიუხედავად ასეთი სერიოზული სახის პრობლემებისა.

**— საინტერესოა, რა კეთდება ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირის გასაღრმავებლად?**

— ამ მიმართულებით არის რამდენიმე ხელისშემშლელი ფაქტორი. ერთ-ერთი ისაა, რომ კვიპროსს საქართველოში არა აქვს წარმომადგენლობა, არც საელჩო, არც საკონსულო. შესაბამისად, კვიპროსის ვიზის მიღების მსურველებმა უნდა მიმართონ კვიპროსის წარმომადგენლობას ქალაქ კიევში ან ათენში. ეს, ბუნებრივია, აფერხებს პროცესს.

ჩვენ გვქონდა საუბარი კვიპროსის ხელისუფლებასთან ამ საკითხზე და ვეცადეთ, დაგვერწმუნებინა ისინი, რომ მომხდარიყო ამ საკითხის მოგვარება რომელიმე ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდით. სამწუხაროდ, დღეს რეალობა ასეთია, რომ კვიპროსს უახლოეს პერიოდში დაგეგმილი არ აქვს საელჩოს ან რაიმე წარმომადგენლობის გახსნა საქართველოში, სრულიად ობიექტური მიზეზების გამო. ერთი ის, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნა ითხოვს რესურსებს. მეტსაც გეტყვით, კვიპროსს ევროკავშირის ყველა ქვეყანაშიც კი არ აქვს საელჩო, რაც, ბუნებრივია, პერსპექტივას, რომ ჩვენთან გახსნას საელჩო, ამცირებს. რაც შეეხება იმას, რომ სხვა რომელიმე საელჩოს დაევალოს ამ ფუნქციის შესრულება, ამ მიმართულებით ვმუშაობთ. ეთხოვა საგარეო საქმეთა სამინისტროს, თუმცა მათ გვითხრეს, რომ, კვიპროსი არის შენგენის აპლიკატი (ანუ დაწყებული აქვს შენგენში გაწევრიანების პროცესი, თუმცა დასრულებული ჯერ არ აქვს) და ეს ხელს უშლის, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, სხვა საელჩოს დაავალონ თავისი ფუნქციების შესრულება.

შენგენის რეგულაციების მიხედვით, გადანდობის მექანიზმი არ მუშაობს, ანუ უშუალოდ ქვეყანამ უნდა აწარმოოს თავისი ქვეყნის სავიზო უზრუნველყოფა, თუმცა ეს ნაკლები ხელისშემშლელი ფაქტორია იმასთან შედარებით, რაც არის მეორე რეალური ფაქტორი. არ არსებობს პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა. იმის მიუხედავად, რომ ამ მიმართებით დავიწყეთ წინადადების ინიცირება, რომელიც ჩვენი ავიაკომპანიებისთვის არცთუ წარუმატებელი იქნებოდა, ჯერჯერობით სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ. მეტიც, აქაურ მოსახლეობას აქტიურად შეგვიძლია შევთავაზოთ ჩვენი ზამთრის კურორტები, მაგრამ პირველი კითხვა მაშინვე საჰაერო მიმოსვლას უკავშირდება და პერსპექტივა მცირდება. ზამთრის და სამონადირეო ტურიზმის გარდა, არსებობს პილიგრიმების დაინტერესებაც, მაგრამ აქაც ხელისშემშლელი პრობლემა სწორედ საჰაერო მიმოსვლის არქონაა.

გადაწყვეტილი გვაქვს, საქართველოდან ჩამოვიყვანოთ ტუროპერატორები და ჟურნალისტები, აქედან ჩვენთან ჩავიყვანოთ იგივე ჯგუფები და მკვდარი წერტილიდან დავძრათ ეს საკითხი. თუ ყველაფერი კარგად გავითარდა, ვფიქრობ, თებერვალ-მარტში საქართველოში კვიპროსელი ტურისტების მცირერიცხოვანი ჯგუფის ჩაყვანას მაინც მოვახერხებთ. მერე კი ეს ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად აქტიურები ვიქნებით ამ მიმართულებით.

**— არაფერი გითქვამთ სამთავრობო კონტაქტებზე...**

— ვფიქრობთ, მოხდება ვიზიტების ურთიერთგაცვლა. საგარეო საქმეთა მინისტრმა მიმდინარე წელს უკვე გამართა შეხვედრა თავის კოლეგასთან ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში. ამჟამად საუბარია შუა რგოლის კონტაქტებზე, რაც შემდეგ შეამზადებს სიტუაციას შემდგომი ურთიერთობებისთვის. საკმაოდ ბევრი საკითხია გაჩერებული და დაჭიროა მათი დაძრა ადგილიდან, მეტი გააქტიურება. მთავარია, რომ არსებობს საკმაოდ ბევრი შეხების წერტილი, რომელსაც შეუძლია ჩვენი ურთიერთობა გააღრმაოს და დადებითად წაადგეს ორი ქვეყნის ურთიერთობას.

**ესაუბრა**
**თემურ ჭუმბურიძე**

ინფორმაცია

## მემორანდუმი ორი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას განამტკიცებს

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივსა და უნგრეთის სახელმწიფო არქივს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს საქართველოსა და უნგრეთს შორის აქტიურ კულტურულ და საქმიან ურთიერთობებს.**

**შეთანხმებით გათვალისწინებულია თანამშრომლობა ინფორმაციის გაცვლისა და პროფესიული გამოცდილების გაზიარებაში. მხარეები ერთმანეთს მიაწვდიან საარქივო დოკუმენტების გამოცემებს, სამეცნიერო და მეთოდოლოგიურ ლიტერატურას, მოაწყობენ პროფესიულ და სამეცნიერო შეხვედრებსა და საარქივო გამოფენებს. ასევე, საშუალება ექნებათ, მოიძიონ დოკუმენტები და გაცვალონ დეტალური ინფორმაცია; ფონდებისა და კოლექციების გამდიდრების მიზნით ერთმანეთს მიაწოდონ ორივე ქვეყნის ისტორიისთვის ღირებული საარქივო დოკუმენტების ასლები (წერილობითი, კინო და ფოტო დოკუმენტები).**

**საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია უამრავი დოკუმენტი, რომელიც საქართველო-უნგრეთის კულტურულ ურთიერთობებს ასახავს. დოკუმენტები მოიცავს 1807-1985 წლებს, მათგან წერილობითი დოკუმენტები თარიღდება 1807-1963 წლებით, ხოლო კინო, ფოტო და ფონოდოკუმენტები — 1945-1985 წლებით.**

ჯი-ეიჩ-ენი

წლები

**შესრულდა 80 წელი გამოჩენილი ქართველი ექიმის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოში კლინიკური და მეცნიერული ალერგოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გურამ გურგენიძის დაბადებიდან.**

**დაუფასებელია გურამ გურგენიძის ღვაწლი ჩვენს ქვეყანაში მეცნიერული და პრაქტიკული ალერგოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. მისი უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა ქართული ალერგოლოგიური სკოლა, რომელიც ფართო სამეცნიერო წრეებში ცნობილია „გურამ გურგენიძის სკოლის“ სახელით და რომელიც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.**

# ქართული ალერგოლოგიური სკოლის მესაძირკვლე და მამამთავარი



პროფესორი გურამ გურგენიძე - 80

*დაიბადა 1929 წლის 30 ნოემბერს გამორჩეული ქართველი ინტელიგენტების ოჯახში.*

*მამა — ვლადიმერ გურგენიძე — რკინიგზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გამოჩენილი სპეციალისტი, ამ დარგში პირველი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი გახლდათ საქართველოში.*

*დედამ — თამარ ერისთავმა ქ. ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიის დასრულების შემდეგ ექიმობა გადაწყვიტა. იგი თბილისში, თავისი ბიძის, ქართული ქირურგიის ამაგდარის, აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავის ოჯახში ცხოვრობდა. სწორედ ამ ოჯახში გაიცნეს ერთმანეთი თამარმა და ვლადიმერმა: ეყოლათ ორი ვაჟი გურამი და რევაზი, მომავალში ასევე პროფესორი და მედიცინის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ცნობილი ნეიროოფთალმოლოგი.*

*ბიჭები თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის მე-3 საშუალო სკოლაში შეიყვანეს. გურამი იმთავითვე სანიმუშო მოწაფე იყო და პირველიდან მე-10 კლასამდე ფრიადის გარდა სხვა ნიშანი არც მიუღია. ამიტომაც იმხანად შემოღებული ოქროს მედალი ულაპარაკოდ ერგო.*

*სკოლის პერიოდში გამოამჟღავნა განსაკუთრებული ნიჭი მუსიკისადმი და წარმატებით დაამთავრა 1-ლი სამუსიკო სკოლა, შემდეგ კი მე-2 მუსიკალური სასწავლებელი. თუმცა ამ გზას არ გაჰყოლია, გულმა მედიცინისკენ გაუწია და 1948 წელს უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე.*

სამეცნიერო კვლევითი მუშაობა გურამ გურგენიძემ სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის პერიოდში დაიწყო.

სტუდენტურ წლებში ბიოქიმიის კათედრაზე პროფესორ ვასილ ვარაზის ხელმძღვანელობით შესრულებული ნაშრომები დაედო საფუძვლად მის საკანდიდატო დისერტაციას – „მასალები აზოტური ცვლის ცენტრალური რეგულაციისათვის“, რომელიც მან დაიცვა 1956 წელს, ინსტიტუტის დამთავრებიდან 2 წლის შემდეგ.

ბატონ ვასილ ვარაზისადმი თბილი დამოკიდებულება და სიყვარული გურამს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. მოგვიანებით ჟურნალისტისთვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში გურამი ამბობდა: „ჩემთვის პროფესორი ვარაზი არის იდეალი ადამიანის, ექიმისა და მეცნიერის“. ამიტომაც გურამის სამუშაო ოთახში მისი სიცოცხლის ბოლომდე ბ-ნი ვასილის სურათი ეკიდა.

ალერგიის პრობლემების მიზანმიმართულ შესწავლას საქართველოში სათავე დაედო გურამ გურგენიძის შრომებით და, კერძოდ, მისი სადოქტორო დისერტაციით – „მასალები ბრონქული ასთმის პათოგენეზისათვის“. ბრონქული ასთმის ორიგინალური ექსპერიმენტული მოდელისა და კლინიკის პირობებში ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა ალერგიულ რეაქციათა ხასიათი და იმუნოლოგიური თავისებურებები ბრონქული ასთმის სხვადასხვა ეტიოპათოგენეზური ფორმის დროს, რის საფუძველზეც შემუშავდა ბრონქული ასთმის ცალკეული ფორმების დიფერენციაცია, დიაგნოსტიკა და სპეციფიკური თერაპიის იმუნოლოგიური კრიტერიუმები. 1961 წელს, სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ, 31 წლის ასაკში, იგი გახდა საქართველოს სინამდვილეში ყველაზე ახალგაზრდა მედიკოსი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

საქართველოში კლინიკური ალერგოლოგიური სამსახურის და დარგობრივი დისციპლინის ჩამოყალიბება და განვითარება უშუალოდ არის დაკავშირებული გურამ გურგენიძის უდიდეს ძალისხმევასთან და ღვაწლთან.

1963 წელს, ქ. თბილისის I კლინიკურ საავადმყოფოში, სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული, სანჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების თერაპიულ სნეულებათა კათედრასთან ბ-ნი გურამის ინიციატივითა და ძალისხმევით (იგი ამ კათედრის უკვე პროფესორი გახლდათ) გაიხსნა პირველი ალერგოლოგიური კაბინეტი საქართველოში და ჩამოყალიბდა ალერგოლოგიის სასწავლო კურსი (პირველი საბჭოთა კავშირის სინამდვილეში),

1967 წელს ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში ბ-ნი გურამის ძალისხმევით გაიხსნა ალერგოლოგიური კაბინეტი და ლაბორატორია. ამ ლაბორატორიის საწარმოო ჯგუფი ემსახურებოდა სამხარეო ალერგენების შეგროვებას, დამზადებასა და ავადმყოფთა ალერგოლოგიურ გამოკვლევასა და მკურნალობას.

1970-72 წლებში გურამ გურგენიძის დიდი ძალისხმევით რესპუბლიკურ, სამხარეო, რაიონთაშორისო საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში, აგრეთვე მსხვილ ადმინისტრაციულ ცენტრებში ჩამოყალიბდა სპეციალიზებული ალერგოლოგიური სამსახური, რასაც შედეგად მოჰყვა ალერგიულ ავადმყოფთა მოზიდვა სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში (ამჟამად უნივერსიტეტი) ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის, როგორც ცალკე საგნის, შემოღება უკავშირდება პროფესორ გურამ გურგენიძის ინიციატივასა და დაუღალავ მოღვაწეობას. საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში 1974 წელს ალერგოლოგიური კურსი რეორგანიზებულ იქნა ალერგოლოგიის დამოუკიდებელ კათედრად და მის პირველ ხელმძღვანელად არჩეულ იქნა ბ-ნი გურამი. აღსანიშნავია, რომ ეს იყო პირველი ალერგოლოგიის კათედრა საბჭოთა კავშირის სამედიცინო ინსტიტუტებს შორის. საგანი ისწავლებოდა სამკურნალო და პედიატრიული ფაკულტეტების VI კურსზე. ალერგოლოგიის კათედრის ბაზაზე 1978 წლიდან დაიწყო ექიმთერაპევტთა და პედიატრთა გადამზადება ალერგოლოგიაში. დაარსდა კლინიკური ორდინატურის კურსი.

ალერგიულ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კვლევა ინტენსიურად დაიწყო 70-იანი წლებიდან კათედრის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის ექსპედიციებით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ჩატარებული კვლევების საფუძველზე შედგა ალერგიულ დაავადებათა გავრცელების რუკა ცალკეული კლიმატო-გეოგრაფიული რეგიონისათვის. მცენარეული ალერგოზების გავრცელების, მათი სამხარეო თავისებურებების შესწავლისა და ალერგოლოგიური კალენდრის დადგენის მიმართულებით განსაკუთრებით კარგი თანამშრომლობა ჩამოყალიბდა პროფესორ გურგენიძის სკოლასა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტს შორის. გურამ გურგენიძის უშუალო მონაწილეობითა და მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ათობით მეთოდური რეკომენდაცია, რომელთაც ფართო გამოყენება ჰპოვეს სპეციალიზებული ალერგოლოგიურ დაწესებულებათა მუშაობაში. მიღებული მონაცემები გამოქვეყნდა ჰავაის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ კრებულში – „ალერგია მსოფლიოში“ (ინგლისურ ენაზე 1978 წ.) რომლის თანაავტორიც გ. გურგენიძე იყო.

1978 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ა. ნათიშვილის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში გაიხსნა ალერგოლოგიური განყოფილება, რომელიც 1991 წლიდან დაექვემდებარა სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ს/კ ინსტიტუტს. ამ განყოფილების უცვლელი ხელმძღვანელი სიცოცხლის ბოლომდე პროფესორი გურამ გურგენიძე გახლდათ. ამ განყოფილებაში რძისმიერი ალერგიის ეტიოპათოგენეზული კვლევის შედეგად წარმოებაში დაინერგა „ანტიალერგიული ძროხის რძე“ (1984 წ.)

1988 წელს ბატონი გურამი იყო პირველი ალერგოლოგი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, რომელიც აირჩიეს საკავშირო სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1992 წლიდან იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია.

გურამ გურგენიძე, როგორც ნოვატორული სულისკვეთების მქონე შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნება, მთელი ცხოვრების მანძილზე გაუკვალავი ბილიკებით ეძებდა ალერგიის პრობლემების ორიგინალურ გადაწყვეტას. გურამ გურგენიძის ალერგოდიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და იმუნოთერაპიის ორიგინალურმა მეთოდებმა აღიარება ჰპოვეს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც (კანის სინჯი სისხლის ანტიჰისტამინური თვისებების შესწავლისათვის, ბრონქული ასთმის ზოგიერთი ფორმის მკურნალობის ორიგინალური მეთოდები საკუთარი ნახველის დიალიზატისა და აუტო ერითროლიზატის გამოყენებით და სხვა).

გურამ გურგენიძისა და მის მიერ ჩამოყალიბებული სამეცნიერო სკოლის, კვლევის ძირითად მიმართულებებს წამოადგენდა: ალერგიულ დაავადებათა გავრცელების და სამხარეო თავისებურებების შესწავლა ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, ბრონქული ასთმისა და ზემო სასუნთქი გზების ალერგოზების იმუნოლოგიური და იმუნოგენეტიკური მახასიათებლების ფუნდამენტური კვლევა, მკურნალობის ორგინალური მეთოდების შემუშავება (სპელეოთერაპია კარსტული მღვიმის პირობებში); ფუნდამენტური შრომები მიძღვნილი ალერგიულ დაავადებათა და ძირითადად ბრონქული ასთმის კლასიფიკაციის საკითხებისადმი, სასუნთქი გზების ალერგიული დაავადებების კონკრეტული კლინიკური ვარიანტების (ვირუსინდუცირებული, სტეროიდრეზისტენტული, ფიზიკური დატვირთვით გამოწვეული, ასპირინული ასთმა) იმუნოლოგიური დახასიათება; სპეციფიკური იმუნოთერაპიის ორგინალური მეთოდები (პერორალური და ოროფარინგეალური იმუნოთერაპია) შემუშავება და მათი პრაქტიკაში დანერგვა. აღსანიშნავია, რომ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ალერგოლოგიის კათედრაზე და ალერგიულ დაავადებათა ეპიდემიოლოგიისა და იმუნოგენეტიკის განყოფილებაში შექმნილი შრომები IgE-თი განპირობებული ალერგიული რეაქციების იმუნოლოგიური და იმუნოგენეტიკური მექანიზმების შესახებ პიონერული იყო ყოფილ საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში – ეს არასრული ნუსხა იმ ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული მოღვაწეობისა, რომელიც ხორციელდებოდა ბატონი გურამის უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით.

ბ-ნი გურამის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ბორჯომში 1968 წლის მარტში ჩატარდა პირველი საკავშირო სიმპოზიუმი მიძღვნილი ბრონქული ასთმის ფორმებისა და სტადიების პათოგენეზისა და კლასიფიკაციის საკითხებისადმი. სიმპოზიუმი ძალიან ფართო ხასიათს ატარებდა და მას ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მასში მონაწილეობდნენ მაშინდელი საბჭოთა კავშირის ყველაზე უფრო გამოჩენილი მეცნიერები და კლინიცისტები (ადო, ბულატოვი, მოლჩანოვი, იურენევი, იაბლოკოვი, უგლოვი და სხვები) და სწორედ ბორჯომში იქნა წარმოდგენილი და შეჯერდა ანდრეი ადოსა და კონსტანტინე ბულატოვის მიერ შემუშავებული ბრონქული ასთმის კლასიფიკაცია, რომლითაც სარგებლობდნენ საბჭოთა კავშირში 1969 წლიდან.

ბ-ნი გურამის ხელმძღვანელობით 1979 წ. ქ. სოხუმში ჩატარდა სოციალისტური ქვეყნების ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა საზოგადოებების საერთაშორისო სიმპოზიუმი მიძღვნილი ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის აქტუალური საკითხებისადმი. ამ სიმპოზიუმზე ფართოდ იყო წარმოდგენილი არამარტო საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების ალერგოლოგები, არამედ სპეციალისტები ინგლისიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან, შვედეთიდან, ნორვეგიიდან, სწორედ ამ სიმპოზიუმზე წარმოდგენილი შრომებით დაიმსახურა ბ-ნი გურამის მიერ შექმნილმა სკოლამ საყოველთაო საერთაშორისო აღიარება.

მისი ხელმძღვანელობითა და ინიციატივით ჩატარდა მთელი რიგი საერთაშორისო სიმპოზიუმები: „ალერგოტესტი 80“ და „ალერგოტესტი 84“ მიძღვნილი ალერგოდიაგნოსტიკის უახლესი მეთოდებისადმი, რომელიც გაიმართა თბილისში 1980 და 1984 წლებში და გამოიცა შრომათა მასალები პროფესორ გ. გურგენიძის თანარედაქტორობით; მისივე რედაქტორობით მომზადდა და გამოიცა არაერთი სხვა სამეცნიერო კრებული, რომელთაც ჰქონდათ როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო მნიშვნელობა (ქართულ-გერმანული სიმპოზიუმები 1985-1989 წლებში).

აქვე უნდა ითქვას ბ-ნ გურამის მჭიდრო შემოქმედებით ურთიერთობაზე როგორც საქართველოს, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის მრავალ კლინიკასა თუ სამეცნიერო ცენტრებთან.

მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია გურამ გურგენიძის სამეცნიერო სკოლის

***„მივმართავ ყველა ჩემს თანამშრომელს: დაწყებული სანიტრიდან, საშუალო მედპერსონალის, რიგითი ექიმისა და ასისტენტის ჩათვლით! ჩემო ძვირფასებო! ჩემი მანდ ყოფნის დროს არ მომეცა საშუალება გადამეხადა თითოეული თქვენგანისთვის უდიდესი მადლობა და გამომეხატა ჩემი თქვენდამი სიყვარული იმ თანადგომისათვის, პატივისცემისა და გულისხმიერებისათვის, რასაც თქვენ იჩენდით ყოველთვის ჩემდამი და განსაკუთრებით ჩემი ავადმყოფობის დროს. დიდი მადლობა თქვენ, ყოველივე ამისათვის. ყველანი ძალიან მიყვარხართ, ყოველთვის მიყვარდით და მეყვარებით.***

***თქვენი გურამ გურგენიძე“.***

ხანგრძლივვადიანი თანამშრომლობა იენის უნივერსიტეტის კლინიკური იმუნოლოგიის ინსტიტუტთან (ხელმძღვანელი პროფესორი ლოთარ იეგერი), პამპლონის უნივერსიტეტის ალერგოლოგიის კათედრასთან (პროფესორი ალბერტ ოელინგი), მინესოტას უნივერსიტეტის ალერგოლოგიის კათედრასთან (პროფესორი მალკოლმ ბლუმენტალი), ლინჩოპინგის უნივერსიტეტის ალერგოლოგიის ცენტრთან (პროფესორი ზენგტ ბიორკსტენი) და სხვა მოწინავე ალერგოლოგიურ ცენტრებთან მოსკოვში (იმუნოლოგიის, პედიატრიის, პულმონოლოგიის და სხვა ინსტიტუტები), პეტერბურგში, კიევში, ნოვოსიბირსკში თუ ბალტიისპირეთში. 1980-89 წლებში საქართველოში ალერგოლოგიის კათედრაზე სამეცნიერო მივლინებით ალერგიულ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების ათვისების მიზნით მრავალი ექიმი ჩამოდიოდა როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საზღვარგარეთის წამყვანი კლინიკებიდან.

ბატონი გურამი აქტიურად ათავსებდა მეცნიერულ მოღვაწეობას საზოგადოებრივ მუშაობასთან, იგი 1975-1986 წლებში იყო თბილისი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო დარგში. ამ პერიოდში ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა სამედიცინო ინსტიტუტში სასწავლო და სამეცნიერო პროცესების სრულყოფისა და განვითარების მიმართულებით. იგი წლების მანძილზე იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს სწავლული მდივანი თერაპიულ სპეციალობაში, ხოლო შემდეგ სპეციალიზებული საბჭოს „ალერგოლოგია-იმუნოლოგია“ თავმჯდომარე, საქართველოს ალერგოლოგიური ასოციაციის თავმჯდომარე, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების სამეცნიერო ხელმძღვანელი, მრავალი ქვეყნის ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა საზოგადოების წევრი, დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის (III გამოცემა) თანარედაქტორი, მრავალი სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი.

ბატონი გურამი გახლდათ 300-მდე სამეცნიერო ნაშრომის, არაერთი მონოგრაფიის, მეთოდური რეკომენდაციის ავტორი და ალერგოლოგიის პირველი სახელმძღვანელოს ავტორი სტუდენტებისათვის რუსულ ენაზე (1978 წ.), ხოლო 2001 წელს ქართულ ენაზე. მისი ხელმძღვანელობით შესრულებული და დაცულია 6 სადოქტორო და 46 საკანდიდატო დისერტაცია.

მას მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო, მათ შორის პურკინიეს სახელობის მედალი, იყო მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1982 წ.), დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით (1998 წ.) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საპატიო მედლით (2001 წ.).

მიუხედავად უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საქართველოში განვითარებული რთული პროცესებისა, გურამ გურგენიძის მიერ დაარსებული დარგი, სამსახური და სკოლა კვლავაც წარმატებით ფუნქციონირებს, ვითარდება ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის კათედრა სამედიცინო უნივერსიტეტში, დაარსდა რამდენიმე დამოუკიდებელი ალერგოლოგიური ცენტრი, რომელთაგანაც გამოირჩევა თანამედროვედ აღჭურვილი ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაზაზე, სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის ალერგოლოგიური განყოფილება და სხვა, სადაც ძირითადად ბატონი გურამის მოსწავლეები და აღზრდილები მოღვაწეობენ და წარმატებით აგრძელებენ ბატონი გურამის დაწყებულ საქმეს. ბატონი გურამის ღვაწლის დაფასებად და მისი სახელის უკვდავსაყოფად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ გარდა საქართველოსი, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (აშშ, კანადა, ისრაელი) მოღვაწეობენ მისი მოწაფეები და უანგაროდ ემსახურებიან თავიანთ პროფესიას.

იყო ბედნიერი, რომ ჰქონდა ტრადიციული ქართული ოჯახი. მეუღლე – ცნობილი უროლოგის, პროფესორ ალექსანდრე გზირიშვილის ქალიშვილი – მზია გზირიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი; ვაჟიშვილები – გიორგი (გოგლა) თერაპევტი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დავითი – უროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი; რძლები – მაია ჩოგოვაძე, პროფესიით ექიმი, მაკო მიქაბერიძე, პროფესიით ბიოლოგი; შვილიშვილები – თამარ, ნინო, გურამ (გუკა), ანა გურგენიძეები.

უზომოდ ფაქიზი ბუნებისა და დიდი, ძალზე დიდი, ყველაფრის დამტევი გული ჰქონდა. უზომოდ უყვარდა თავისი ქვეყანა, უყვარდა თავისი ოჯახი, კოლეგები, მოწაფეები, სიცოცხლე უყვარდა.

ხარობდა ადამიანებთან ურთიერთობითა და მათი სიყვარულით.

როგორც უხმაუროდ, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე იცხოვრა ამ ქვეყანაზე, ასევე უხმაუროდ გამოეთხოვა ამქვეყნიურ ცხოვრებას. იგი 2002 წლის 7 იანვარს, ქრისტეშობის დღეს, უეცრად გარდაიცვალა და საუკუნო სასუფეველი დაიმკვიდრა საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

**ფრიდონ თოდუა,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი**

**ამირან გამყრელიძე,**
**ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენლობა საქართველოში, პროფესორი**

◉ წერილი ამერიკიდან

*ბატონი ფრენკ კოლუმბუსი, ცნობილი ამერიკელი გამომცემელი, ნიუ-იორკის გამომცემლობა „Nova Publishers“-ის პრეზიდენტია. ეს მძლავრი საგამომცემლო ინდუსტრიაა, რომელსაც მთელ მსოფლიოში აქვს საკუთარი ოფისები, რედკოლეგიის წევრთა 40 პროცენტი ნობელის პრემიის ლაურეატია.*

*ბატონი ფრენკი ქართველთა სიძეა — ცოლად ჰყავს ქალბატონი ნადია გოცირიძე. მას გულწრფელად უყვარს მეუღლის სამშობლო, ყოველმხრივ ცდილობს რაიმეთი დაეხმაროს ქართველ ხალხს, აქაურ მეცნიერთ. მან ამერიკაში ვიზიტად მყოფი საქართველოს პატრიარქი გაიცნო და მოიხიბლა. მას შემდეგ თბილისში ყოველი ჩამოსვლისას (წელიწადში სამჯერ მაინც ჩამოდის) ხვდება უწმინდესსა და უნეტარესს. ერთხელ მას შესთავაზა, ინგლისურ ენაზე გამოვუშვებ ჟურნალს „საქართველოს მეცნიერება და კულტურასო“. თქვა და შეასრულა კიდეც — თუმცა ეს მისთვის მომგებიანი საქმე არ არის). უკვე მერვე ნომერი გამოვიდა; გამოსცა რამდენიმე ქართველი მეცნიერის ნაშრომები: პაპავას 4 წიგნი ეკონომიკაზე, ლეჟავასი — გენეტიკაზე და ა.შ. კონსერვატორიის 90 წლის იუბილეზე დიდებული ალბომი შეადგინა; ჩვენი ფოლკლორით დაინტერესდა და წიგნის გამოცემას აპირებს. უამრავი სხვა პროექტებიც აქვს.*

*აი ასეთი კაცია მეცენატი და საქართველოს დიდი მეგობარი ფრენკ კოლუმბუსი.*

*ამ დღეებში რედაქციამ ამერიკიდან წერილი მიიღო. ბატონი ფრენკი აღშფოთებულია უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიმართ საზოგადოების ერთი ნაწლის ბინძური გალაშქრებით, რამაც ლამის სისტემური ხასიათი მიიღოს.*

*წერილში კერძოდ ნათქვამია:*

# გაჩუმება ვერ შევძელი!



შეშფოთებულმა წავიკითხე პრესაში და ვნახე ინტერნეტში პუბლიკაცია მკრეხელური აქციის შესახებ, რომელიც მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის წინააღმდეგ არის მიმართული. საკითხი შეეხება სკანდალურ, ბინძურ ვიდეოკლიპს, რომელიც შეურაცხყოფას აყენებს პატრიარქს და, რომელიც „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელმა, „სამართალდამცველმა“ ვიღაც თეა თუთბერიძემ განათავსა თავის გვერდზე Facebook-ში. არ მინდა ამ სიყალბის დეტალებზე ვისაუბრო, ვიტყვი მხოლოდ ერთს — მასში ჩადებული იყო საშინელი ჭურვი, რომელსაც შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს როგორც საქართველოს ეკლესიას, ისე მთელ საქართველოს. საბედნიეროდ, ეს არ მოხდა — სიყალბემ გაუგებრობა და საზოგადოებრიობის მკვეთრი უარყოფა გამოიწვია. გაჩუმება არ შემეძლო...

შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ქალბატონი თუთბერიძე აშკარად ცდილობს „მაღლა ასწიოს“ „სიტყვის თავისუფლების“ დროშა. არ ვიცი რომელ კონსტიტუციაზე ჰქონდა მას აღებული ორიენტაცია, მაგრამ თავისი ცინიზმით აშკარად გადალახა ზრდილობის, კორექტულობისა და მორალის ყველა საზღვარი, წინასწარგანზრახვით დასწამა ცილი და შეურაცხყოფა მიაყენა წმინდა პიროვნებას.

რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, არც ერთი სამართლებრივი სისტემა არ უწოდებს მის წინასწარგანზრახულ სამარცხვინო კამპანიას „სიტყვის თავისუფლებას“, პირიქით, მან პასუხი უნდა აგოს ამის გამო კანონის მთელი სიმკაცრით.

ჩნდება შეკითხვა, აქვს თუ არა ამ ქალს და მათ, ვინც მას უჭერს მხარს, თუნდაც რაიმე წარმოდგენა წესიერებაზე? და რატომ არის, რომ საქართველოს ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალება აქვეყნებს მის პასკვილს, თანაც, როდესაც მისმა ავტორმა განაცხადა, რომ არსებითად მისი ამორალური საქციელი (სხვა ეპითეტი არ შემიძლია გამოვძებნო) იყო... ხუმრობა.

უნდა აღვნიშნო, რომ „იუმორის“ ცნებამ მასთან მიიღო აშკარად დამახინჯებული ხასიათი. საინტერესოა, როგორ აღიქვა ეს „ხუმრობა“ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ.

საქართველოს ხელისუფლებას მივმართავ დიდი თხოვნით — შემდგომში აღარ დაუშვას მსგავსი გამოხდომები ქართული ეკლესიისა და მისი ხელმძღვანელის, ბრძენი ილია მეორის მიმართ, რომლის ღირსებასაც დიდად აფასებენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ამერიკაშიც.

ერთია, არ დაეთანხმო ისეთი პიროვნების აზრს, რომელიც აღიარებულია არა მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანობის სამყაროში, როგორიცაა მისი უწმინდესობა, მაგრამ არის მეორეც — მოუფიქრებლად გამოიყენო კომუნიკაციების თანამედროვე საშუალებანი უზადრუკობის ატმოსფეროს შესაქმნელად, რომლის არსიც პროვოკაციული პუბლიკაციის ავტორის უმეცრებაშია.

ამგვარი მოქმედებანი, ამა თუ იმ ფონით, გაწაფული ინსტრუმენტი და მეთოდი იყო ათეისტურად განწყობილი ბოლშევიკებისთვის, რომლებიც დასცინოდნენ ეკლესიას, ანგრევდნენ ტაძრებს, ძარცვავდნენ, ხოცავდნენ ღვთის მსახურებს. ნუთუ მათი თანამოაზრენი დღესაც არსებობენ პოლიტიკოსებისა და მათი იდეოლოგების გარკვეულ წრეებში. მაგრამ, დროის შესაბამისად, ახლა იარაღის ნაცვლად იყენებენ სიტყვას, რომელსაც, როგორც ცნობილია, შეუძლია მოგკლას!

ჩნდება არცთუ გულუბრყვილო შეკითხვა — შემთხვევით თუ წინასწარ დაპროგრამებულია ყოველივე ეს და ვინ დგას ყოველივე ამის უკან?

ნებისმიერ შემთხვევაში ამგვარ ინსინუაციებს, ვიმეორებ, მივყავართ მეტად არასასურველ დამღუპველ შედეგებამდე, რომლებიც გავლენას ახდენენ არა მხოლოდ ქართული ეკლესიის საერთაშორისო ავტორიტეტსა და პრესტიჟზე, არამედ მთლიანად საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სისტემაზეც, რომელიც გზას იკვლევს დემოკრატიზაციისკენ, თავისუფლებისა და სუვერენული სახელმწიფოს დამოუკიდებლობისკენ.

სრულიად საქართველოს პატრიარქი იყო, არის და რჩება ყოველგვარ ცილისწამებლურ თავდასხმებზე მაღლა, რომლებიც მის წინააღმდეგ არის მიმართული, ვინაიდან მასთან არის უფალი და ჭეშმარიტება! ხოლო „თუთბერიძესა“ და კომპანიასთან ვინღაა?!

**ფრენკ კოლუმბუსი,**
ნიუ-იორკის გამომცემლობა „Nova Publishers“-ის პრეზიდენტი.

***სურათზე:** ნადია გოცირიძე და ფრენკ კოლუმბუსი.*

◉ ინფორმაცია

## კონფლიქტების მოგვარებისკენ წინ გადადგმული ნაბიჯი

**მთავრობის** მიერ ინიცირებული დოკუმენტი „საქართველოს სტრატეგია ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებაში“, კონფლიქტების მოგვარებისკენ წინ გადადგმული ნაბიჯია.

ამის შესახებ ექსპერტმა პოლიტიკურ საკითხებში ანდრო ბარნოვმა განაცხადა.

— პროცესი ძალიან საინტერესო და ნაყოფიერია. დისკუსია უკვე დაიწყო. ეს დოკუმენტი ორიენტირებულია როგორც კონფლიქტურ რეგიონებში დარჩენილ მოსახლეობაზე, ისე მათზე, ვინც დატოვა ოკუპირებული ტერიტორია, — განაცხადა ბარნოვმა.

ექსპერტის შეფასებით, მთავრობის მიერ ინიცირებული აღნიშნული დოკუმენტი ძალზედ საინტერესო და საჭიროა.

## რუსეთელი დისიდენტი საქართველოს მოქალაქე გახდება?

**რუსი** დისიდენტის ალექსანდრე ზანდაროვისთვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხს ქართული მხარე განიხილავს.

ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ გუშინ გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

— ნებისმიერი პირი, ვისაც საქართველოს მოქალაქეობა სურს, განცხადებით მოგვმართავს და ქართული მხარე ყველა განცხადებას განიხილავს. აღნიშნულ შემთხვევაშიც, პარიზიდან ჩვენმა საელჩომ გადმოგვცა ალექსანდრე ზანდაროვის განცხადება, რომელსაც საქართველოს მოქალქეობა სურს. მისი განხილვა უახლოეს მომავალში მოხდება და თუ ის ყველა კრიტერიუმს დააკმაყოფილებს, დადებით გადაწყვეტილებას მივიღებთ, — განმარტა მინისტრის მოადგილემ.

რუსმა დისიდენტმა ალექსანდრე ზანდაროვმა საფრანგეთში საქართველოს საელჩოს მიმართა და საქართველოს მოქალაქეობა ითხოვა.

„ექსპრესნიუსი“

## დაღუპულ მეზღვაურებს უახლოეს დღეებში გადმოასვენებენ

**შავ ზღვაში** გემის ჩაძირვის შედეგად გარდაცვლილ საქართველოს მოქალაქეებს თურქეთიდან უახლოეს დღეებში გადმოასვენებენ.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ განაცხადა, გადმოსვენებამდე ბევრი ბიუროკრატიული და ტექნიკური პროცედურაა გასავლელი და მოსაგვარებელი.

შეგახსენებთ, რომ პანამის დროშის ქვეშ მცურავი სატვირთო გემი თურქეთში 12 დეკემბერს ჩაიძირა. გავრცელებული ინფორმაციით, ეკიპაჟის 14 წევრიდან 11-ის გადარჩენა მოხერხდა. გარდაცვლილია საქართველოს ორი და უკრაინის ერთი მოქალაქე. სერგო ჯინჭარაძის ცხედარი უკვე ნაპოვნია, დავით ჯიჯილეიშვილს კი ამ დრომდე ეძებენ.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ხელახლა

# ისტორია საერთოა — „ჩემად“ და „შენად“ ვერ დაანაწევრებ!

## „მუშაც“ დაბრუნდა და „კოლმეურნე ქალიც“

**დავწერე და სათაურის გამო სინანული მომეძალა: რამდენი წელია სიტყვა „მუშა“, ან, გნებავთ, „კოლმეურნე“ (გავიხსენოთ ებრაული კიბუცები, სტრუქტურულად კოლმეურნეობის მსგავსი სასოფლო-სამეურნეო არტელები, ისრაელის დაშაშრული მიწა წალკოტად რომ აქციეს) ან, სულაც, „მშრომელი ადამიანები“ საგაზეთო წერილებში აღარ მიხსენებია. ჩვენ ყოფაში მათ ნაცვლად შემოვიდა „მაწანწალა“, „უმუშევარი“, „პოკერის სახლი“, „ინვესტიცია“, რომელიც, ეშმაკიც ვერ გაიგებს საით მოედინება...**



მაგრამ აი, მუშაც გამოჩნდა და კოლმეურნეც, ეს მოხდა მოსკოვში, სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, სადაც ამ დღეებში დედაქალაქის მთავრობამ თავის ძველ ადგილზე დააბრუნა გამოჩენილი რუსი მოქანდაკის ვერა მუხინას მონუმენტური ხელოვნების შედევრი „მუშა და კოლმეურნე ქალი“, რომელიც 90-იანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული, ჩამოიღეს და სადღაც სარდაფში მიაგდეს.

და აი, „მუშა და კოლმეურნე“ მზის სინათლეზე ამოიტანეს; მის ძირეულ რესტავრაციას მთელი ექვსი წელი დასჭირდა, უჟანგავი ფოლადის კონსტრუქციები გაამაგრეს, გაააახლეს, პირვანდელი მასშტაბურობა დაუბრუნეს, მეტიც, პოსტამენტი მთელი ათი მეტრით გაზარდეს (ახლა იგი 34 მეტრი სიმაღლისაა!ძ და ასე „აავარცხლბეკეს“ პირვანდელ ადგილზე. წარსულს, სასახელოა თუ სათაკილო, ერთნაირად სჭირდება მიხედვაც და პატრონობაც, მოფერებაც და პატივის მიგებაც. სხვათა შორის, ზოგიერთებისგან განსხვავებით, რუსები არ აფურთხებენ ჭაში, საიდანაც წყალს სვამენ.

ვერა მუხინამ, ვისი დაბადებიდანაც 120 წელი, სხვათა შორის, წლეულს შესრულდა, „მუშა და კოლმეურნე ქალი“ 1937 წლის პარიზის მსოფლიო გამოფენისთვის შექმნა. ნამუშევარმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ გამოფენის ორგანიზატორებს სურდათ იგი მუდმივად პარიზში დარჩენილიყო — ფეხს ითრევდნენ ქანდაკების დაბრუნებაზე. ვითარება დაიძაბა და ამის თაობაზე სტალინს მოახსენეს. „ქანდაკება თავის ადგილზე დაბრუნდეს“, უთქვამს ბელადს.

სიტუაცია სასწრაფოდ განიმუხტა.

**გურამ პავლიაშვილი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთში რუსეთის ყოფნა იზრდება

**ერთი წლის შემდეგ, რაც ხანმოკლე ომის შედეგად საქართველომ დაკარგა აფხაზეთი, რუსეთი განუხრელად ზრდის თავის სამხედრო და ეკონომიკურ ყოფნას ამ პატარა, თუმცა სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან შავიზღვისპირა რეგიონში.**

პარასკევს აფხაზეთში პრეზიდენტის არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, აქ ჩამოვიდა რუსეთის სანაპირო დაცვის ორი გემი, რომელთა ამოცანაა არ მისცენ საქართველოს გემებს საშუალება – მიუახლოვდნენ ოჩამჩირის ნავსადგურს.

რუსეთის გარდა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა მხოლოდ ორმა სახელმწიფომ: ნიკარაგუამ და ვენესუელამ. მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნები იგნორირებას უკეთებენ არჩევნებს, საქართველო კი მას ფარსს უწოდებს.

აფხაზეთის ოფიციალური პირები კატეგორიულად არ ეთანხმებიან იმას, რომ ხდება რეგიონის ტერიტორიის დაპყრობა რუსეთის მიერ. რუსეთი აგრეთვე ამტკიცებს, რომ პატივს სცემს აფხაზეთის ტერიტორიას. მეორე მხრივ, არც რუსეთი, არც აფხაზეთი არ უარყოფენ, რომ ამ უკანასკნელს არ შეეძლება არსებობა ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერის გარეშე პირველის მხრიდან.

რუსი მეთვალყურეების სიტყვებით, გამართული არჩევნები იყო პატიოსანი და გამჭვირვალე, თუმცა ბაღაფშის მოწინააღმდეგემ, უშიშროების ყოფილმა აგენტმა რაულ ხაჯიმბამ, რომელმაც მიიღო ხმების 15,4 პროცენტი, განაცხადა არაჩვეულებრივი შემთხვევების შესახებ და პირობა დადო, რომ გაასაჩივრებს არჩევნების შედეგებს.



რუსეთს სჭირდება მშვიდობიანი და ლოიალური აფხაზეთი, ვინაიდან რეგიონი მდებარეობს ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების საკვანძო მარშრუტზე.

ამჟამად რუსეთის სამხედრო კონტინგენტი აფხაზეთში ითვლის 1000 მესაზღვრეს და 2 ათას სამხედრო მოსამსახურეს, რომლებიც უმთავრესად განლაგებული არიან გუდაუთში კარვების ბანაკში. ამჟამად სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ მოქმედი შეთანხმების შესაბამისად, გათვალისწინებულია ბაზაზე კიდევ 1800 სამხედროს განთავსება.



დეკემბრის ბოლოსთვის ოჩამჩირეში ჩამოვა კიდევ სანაპირო დაცვის ორი გემი, გუდაუთში კი 2-3 წლის განმავლობაში განთავსდება სრულმასშტაბიანი არმიის ბაზა ყველა აუცილებელი კომუნიკაციებითა და ყაზარმებით. ამის შესახებ განაცხადა აფხაზეთში რუსეთის ელჩმა სემიონ გრიგორიევმა.

წელს რუსეთმა აფხაზეთს გამოუყო 2 მილიარდი რუბლი (66,5 მილიონი დოლარი), რაც მისი ბიუჯეტის 57 პროცენტს შეადგენს. აფხაზეთის ეკონომიკის მინისტრის ქრისტინა ოზგანის სიტყვებით, 2010 წელს ქვეყნის ბიუჯეტისა და რუსეთის დახმარების თანაფარდობა იქნება ისეთივე.

ამასწინანდელი შეფასებებით, 1992-93 წლების ომის დროს აფხაზეთი დატოვა დაახლოებით 200 ათასმა ქართველმა (ტექსტში ასეა მითითებული – რედ.). აღწერის უკანასკნელი მონაცემებით, რომელიც 2003 წელს გაიმართა, მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა სულ რაღაც 215 ათასი კაცი, მათგან, ბაღაფშის სიტყვებით, აფხაზები შეადგენენ 90 ათასს, დანარჩენები კი არიან სომხები, რუსები და ქართველები.

მთავრობის წარმომადგენლების სიტყვებით, თურქეთში ცხოვრობს ნახევარი მილიონი მუსლიმანი აფხაზი. უმთავრესად მე-19 საუკუნეში რუსეთიდან განდევნილების შთამომავლები. ამტკიცებენ აგრეთვე, რომ არის იმედი მათი ნაწილის დაბრუნებისა სამშობლოში იმ შემთხვევისთვის, თუ დაცული იქნება უშიშროება და გაჩნდება ეკონომიკური განვითარების პირველი ნიშნები, თუმცა ჯერჯერობით დაბრუნდა მხოლოდ 2 ათასი კაცი.

„დემოგრაფიასთან დაკავშირებით ჩვენთან დიდი პრობლემებია. ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი სახელმწიფოებრიობა, ჩვენი ენა და ეთნიკური თვითშეგრძნება, მაგრამ დიდი დანაკარგებიც განვიცადეთ“, – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ.

WSJ.com THE WALL STREET JOURNAL. ONLINE

## დედამიწის ზურგზე



**იტალიის პრემიერს ბერლუსკონის თავს დაესხა ფსიქიკურად დაავადებული პიროვნება, რომელსაც ხელში სასუვენირო სტატუეტი ეჭირა**

მედიკოსებმა დაადასტურეს სახის და ორი კბილის დაზიანება. რენტგენურმა გამოკვლევებმა აჩვენეს ცხვირის მოტეხილობაც. პოლიტიკოსმა დაკარგა ბევრი სისხლი. თავდამსხმელი 42 წლის მილანელი მასიმო ტარტალიაა, რომელიც ათი წლის განმავლობაში ფსიქიატრის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. თუმცა, მკურნალი ექიმის დამოწმებით, იგი აქამდე საზოგადოებისთვის საშიში პიროვნება არ გახლდათ.

* * *

**ჩილეში პრეზიდენტის არჩევნების პირველ ტურში „ადგილობრივი ბერლუსკონი“ ლიდერობს**

მმართველი მემარცხენე ცენტრისტული კოალიციის წარმომადგენელი მოერე ადგილზე აღმოჩნდა. მან 30,5 პროცენტი მიიღო. თუმცა მას შეიძლება მხარი დაუჭირონ არჩევნების მეორე ტურში ბრძოლას გამოთიშულმა მესამე და მეოთხე კანდიდატებმა. ასეთი ალბათობა დიდია. ამ შემთხვევაში ოპოზიციის წარმომადგენლის გამარჯვების შანსი არსებითად შემცირდება.



# განცხადებები აუქციონის ჩატარების შესახებ

**2009 წლის 22 დეკემბერს 10:00 საათზე მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს „მკათათვეს“ (მისამართი: გურჯაანის რაიონი სოფ. კაჭრეთი ს/ნ 227756728) კუთვნილი უძრავი ნივთის რეალიზაცია.**

გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი უძრავი ნივთი:

მის.: გურჯაანის რაიონი, სოფ. კაჭრეთი, საკადასტრო კოდი 51.20.06.679, დაზუსტებული ფართობი 90000 კვ.მ., შენობა-ნაგებობების საერთო ფართი 64780.30 კვ.მ. უძრავი ნივთის საწყისი ფასია 400 000 (ოთხასიათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს „თიბისი ბანკი“.

თითოეულ ნივთთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება პირი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს „თიბისი ბანკის“ მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის ან ნივთების მესაკუთრე.

**სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი“**
მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7

**2009 წლის 22 დეკემბერს 11:00 საათზე მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს „მკათათვეს“ (მისამართი: გურჯაანის რაიონი სოფ. კაჭრეთი ს/ნ 227756728) კუთვნილი მოძრავი ნივთის რეალიზაცია.**

გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი მოძრავი ნივთი:

მის.: გურჯაანის რაიონი, სოფ. კაჭრეთში მდებარე წისქვილკომბინატი, რაც შედგება შემდეგი ნივთებისგან: 111 ტრანსპორტიორი, 62 ნორიო, 37 ჩარხი, 23 სასწორი, 205 ელ. მოწყობილობა, 140 ლაბორატორიის მოწყობილობა და 321 750 სხვა მოწყობილობა,.

გასაყიდად გამოტანილი მოძრავი ნივთის საწყისი ფასია 100 000 (ასიათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს მოძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს „თიბისი ბანკი“.

თითოეულ ნივთთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება პირი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს „თიბისი ბანკის“ მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის ან ნივთების მესაკუთრე.

**სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი“**
მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7

**2009 წლის 22 დეკემბერს 10:30 საათზე მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს „მკათათვეს“ (მისამართი: გურჯაანის რაიონი სოფ. კაჭრეთი ს/ნ 227756728) კუთვნილი უძრავი ნივთების რეალიზაცია.**

გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი უძრავი ნივთები:

1. მის.: სოფ. ზიარი, საკადასტრო კოდი 51.18.01.704, დაზუსტებული ფართობი 70 000 კვ.მ., შენობა-ნაგებობების საერთო ფართი3406.8 კვ.მ., ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო, უძრავი ნივთის საწყისიფასია 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი;
2. სიღნაღის რაიონში, სოფ. ბოდბისხევში მდებარე უძრავი ნივთები:
   - საკადასტრო კოდი 56.05.29.001, დაუზუსტებელი ფართობი 1 200 000 კვ.მ. ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო;
   - საკადასტრო კოდი 56.05.32.009, დაუზუსტებელი ფართობი 200 000 კვ.მ. ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო;
   - საკადასტრო კოდი 56.05.32.008, დაუზუსტებელი ფართობი 300 000 კვ.მ. ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო;
   - საკადასტრო კოდი 56.05.29.045, დაუზუსტებელი ფართობი 1 470 000 კვ.მ. ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო;

***უძრავი ნივთების საწყისი ფასია 40 000 (ორმოციათასი) აშშ დოლარი;***

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს „თიბისი ბანკი“.

თითოეულ ნივთთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება პირი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს „თიბისი ბანკის“ მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის ან ნივთების მესაკუთრე.

**სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი“**
მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7

სახალხო ბანკი
PEOPLE'S BANK

ქ. თბილისი 11 დეკემბერი 2009 წელი

## სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ აქციონერთა საყურადღებოდ

საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის 54.1.$^1$ მუხლის და სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ (შემდეგში „ბანკი“) წესდების შესაბამისად, „ბანკის“ აქციონერებს გაცნობებთ სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ აქციათა 91.218 პროცენტი წილის მფლობელი აქციონერის შპს „ევროოილის“ (Eurooil LLP) მიერ 2009 წლის 18 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

შპს „ევროოილის“ მიერ 2009 წლის 18 სექტემბერს მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. განხორციელდეს ცვლილებები სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ წესდებაში, კერძოდ:

ა. ამოღებულ იქნას სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ წესდებიდან 3.2.7 მუხლი და შესაბამისად გაუქმდეს ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული აქციონერთა უპირატესი შესყიდვის უფლებები;

ბ. გაიზარდოს სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ ნებადართული კაპიტალი 20,0000,000 (ოცი მილიონი) ლარამდე;

გ. გაიზარდოს სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ ნებადართული აქციების რაოდენობა 2.000.000.000 (ორი მილიარდი) აქციამდე.

2. შეწყდეს სს „საქართველოს სახალხო ბანკსა“ და დამოუკიდებელ რეგისტრატორს შპს „საქართველოს სარეგისტრაციო ბიუროს“ შორის დადებული ხელშეკრულება და სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ აქციათა რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებით გაფორმდეს ხელშეკრულება სს „კავკასრეესტრთან“;

3. მოწონებული იქნას „ევროოილს“ (Eurooil LLP), შპს „ლიბერთი კაპიტალსა“ და სს „საქართველოს სახალხო ბანკს“ შორის 2009 წლის 10 სექტემბერს გაფორმებული აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში, „აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულება“) და თანხმობა მიეცეს სს „საქართველოს სახალხო ბანკს“ აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარიგებების განხორციელებაზე და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

4. სს „საქართველოს სახალხო ბანკმა“ გააფორმოს იპოთეკის ხელშეკრულება შპს „ლიბერთი კაპიტალთან“, აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ ერთპიროვნულ საკუთრებაში არსებული შემდგომი უძრავი ქონება: ქალაქი თბილისი, გამზირი ი. ჭავჭავაძე 74; უძრავი ქონების საკრედიტო კოდი: 01.14.11.001.002, ზონა – თბილისი 01; სექტორი ვაკე-14; კვარტალი –11; ნაკვეთი – 001/002; ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო; დაუზუსტებელი ფართობი: 1426,00 კვ.მ.; ნაკვეთის წონა ნომერი: 1; შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი 1120.00 (შემდგომში „უძრავი ქონება“);

5. მოწონებული იქნას წარმოდგენილი იპოთეკის ხელშეკრულების პროექტი;

6. სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ დირექტორს მიენიჭოს უფლებამოსილება და დაევალოს ხელი მოაწეროს ნებისმიერ და ყველა დოკუმენტს, მათ შორის, სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ წესდებაში შესატან ცვლილებას და იმ იპოთეკის ხელშეკრულებას, და განახორციელოს ნებისმიერი და ყველა მოქმედება, რაც საჭირო ან/და სასურველი იქნება ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

სს „საქართველოს სახალხო ბანკი“

ქ. თბილისი 11 დეკემბერი 2009 წელი

## სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ აქციონერთა საყურადღებოდ

საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის 54.1.$^1$ მუხლის და სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ (შემდეგში „ბანკი“) წესდების შესაბამისად, „ბანკის“ აქციონერებს გაცნობებთ სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ აქციათა 91.218 პროცენტი წილის მფლობელი აქციონერის შპს „ლიბერთი კაპიტალის“ მიერ 2009 წლის 21 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

შპს „ლიბერთი კაპიტალის“ მიერ 2009 წლის 21 სექტემბერს მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები: იგორ პადადური, ანზორ ხაინდრავა და ზურაბ ნეფარიძე გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან;

2. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად დაინიშნონ შემდეგი პირები:

ა. ვლადიმერ გურგენიძე;

ბ. იაპ ვილემ როტგანსი;

გ. მელანი ენ ჩენი

სს „საქართველოს სახალხო ბანკი“

ქ. თბილისი 11 დეკემბერი 2009 წელი

## სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ აქციონერთა საყურადღებოდ

საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის 54.1.$^1$ მუხლის და სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ (შემდეგში „ბანკი“) წესდების შესაბამისად, „ბანკის“ აქციონერებს გაცნობებთ სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ აქციათა 91.218 პროცენტი წილის მფლობელი აქციონერის შპს „ლიბერთი კაპიტალის“ მიერ 2009 წლის 2 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

შპს „ლიბერთი კაპიტალის“ მიერ 2009 წლის 2 ნოემბერს მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. დამტკიცდეს ბანკის წესდების ახალი რედაქცია;

2. გაიზარდოს ბანკის ნებადართული საწესდებო კაპიტალი 30,000,000 (ოცდაათი მილიონი) ლარამდე. ბანკის მთლიანი ნებადართული საწესდებო კაპიტალი დაიყოს 3,000,000,000 (სამი მილიარდი) ჩვეულებრივ აქციად, ნომინალური ღირებულებით 0.01 ლარი თითოეულ ჩვეულებრივ აქციაზე.

სს „საქართველოს სახალხო ბანკი“

მოულოდნელი რაკურსით

# ზაურ ფიფია ეძებს... ზაურ ფიფიას

**მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ვყოფილვარ და, ჩემდა გასაოცრად, ბევრგან შემხვედრია ამ სახელისა და გვარის კაცი – ზაურ ფიფია!**

იმ პერიოდში ერთი როსტოვში ცხოვრობდა, მეორე უნგრეთის ქალაქ ნირიდხაზში, მესამე ალჟირის აეროპორტში შემხვდა, მეოთხეს და მეხუთეს კოორდინატები ერთ-ერთმა ზაურ ფიფიამ ჩამაწერინა და სწორედ მაშინ ჩავიფიქრე, – მოდით, შევხვდეთ ერთმანეთს ზაურ ფიფიები!

შევთანხმდით, მაგრამ მერე, აირია ქვეყანა და ვერ „მოვიცალეთ“ ამისთვის. ის კი არა, ერთმანეთის მისამართებიც დავკარგეთ და, „მორჩა კინო“!

ამ ბოლო წლებში, თითქმის ყოველდღე მივდივარ „ავერსის“ აფთიაქებში შეღავათიანი წამლების შესაძენად და, რატომღაც, კომპიუტერთან მჯდომი ფარმაცევტი მუდამ მეკითხება მამის სახელს. მეც ვპასუხობ და, მართალი გითხრათ, მიკვირს – რატომ მეკითხება ეს გოგონა მამაჩემის სახელს?

ერთხელ ვკითხე კიდეც – რაში გჭირდებათ ეს, ჩვენ ხომ ახალმა მთავრობამ უმამისსახელოდ დაგვტოვა და პასპორტშიც კი არ გვიწერია ვისი შვილი ვართ-მეთქი?

– ბევრი ხართ, ბატონო, ზაურ ფიფიები და რომ არ შეგვეშალოს რამე, თავს ვიზღვევთ!

მესიამოვნა! ვიღაცას მაინც სჭირდებოდა, თურმე, ჩემი მამის სახელი!

ჰოდა, ამ ამბავმა მიკარნახა:

– მოდით, შემოვიღოთ სეხნიების – სახელის მოზიარეთა დღე! ფიფიებს გარდა სხვებიც მრავლად იქნებიან ერთი გვარ-სახელის ადამიანები! სასურველი და სახალისო იქნება, თუნდაც წელიწადში ერთხელ მაინც შევხვდეთ ერთმანეთს, „გავცვალოთ“ სიყვარული და გავიხალისოთ ცხოვრება!

ასე რომ, ვეძებ ზაურ ფიფიებს! გამოგვეხმაურეთ!

**ზაურ ფიფია**

საქმე №2/108-2008

## დაუსწრებელი გადაწყვეტილება

### საქართველოს სახელით

### მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო

22 სექტემბერი 2009 წელი ქ. ქუთაისი

**ქუთაისის საქალაქო სასამართლო**

**მოსამართლე – ირაკლი ლეკვეიშვილი**
**სხდომის მდივანი – ნანა კახიძე**

**მოსარჩელე – ახმედ გოქდემირი**
**წარმომადგენელი – დათო ჯაიანი**
**მოპასუხე – თეიმურაზ კაჩუხაშვილი (დაუსწრებლად)**
**დავის საგანი – ზიანის ანაზღაურება**

**გამოარკვია:**

ახმედ გოქდემირის წარმომადგენელმა სარჩელით მომართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე თეიმურაზ კაჩუხაშვილის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით იმაზე მითითებით, რომ 2008 წლის 24 ივლისს ქობულეთის რაიონის სოფელ ბუკნარში ბათუმის მიმართულებით მოძრავი ავტომანქანა, რომელსაც მართავდა მოპასუხე თეიმურაზ კაჩუხაშვილი, შეეჯახა ოპელის მარკის ავტომანქანას, აღნიშნულ ფაქტზე დაიწყო გამოძიება, სადაც დაზარალებულად ცნობილი იქნა ახმედ გოქდემირი, რომელმაც მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, მოპასუხე თეიმურაზ კაჩუხაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა ამნისტიის საფუძველზე.

მოსარჩელე ითხოვს დაეკისროს მოპასუხე თეიმურაზ კაჩუხაშვილს ზიანის 36464 აშშ დოლარის გადახდა მის სასარგებლოდ.

მოპასუხე თეიმურაზ კაჩუხაშვილს ახმედ გოქდემირის სარჩელზე წერილობითი შესაგებელი არ წარმოუდგენია.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე თეიმურაზ კაჩუხაშვილი, რომელსაც სასამართლო მთავარი სხდომის შესახებ ეცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, მოპასუხე თეიმურაზ კაჩუხაშვილს სასამართლო სხდომის დღის შესახებ ეცნობა საჯარო შეტყობინებით – პუბლიკაციის მეშვეობით, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად მოპასუხისათვის ჩაბარებულად უნდა ჩაითვალოს.

მოსარჩელის წარმომადგენელმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის საფუძველზე იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ და მოითხოვა დაეკისროს მოპასუხე თეიმურაზ კაჩუხაშვილს მოსარჩელე ახმედ გოქდემირის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით 36464 აშშ დოლარი.

განვიხილე სარჩელი და თანდართული საბუთები, მიმაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა მიხედვით ახმედ გოქდემირის სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 992-ე მუხლების შესაბამისად, იურიდიულად ამართლებენ მოსარჩელის მოთხოვნას.

ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 38-ე, 39-ე, 53-ე მუხლების თანახმად მოპასუხე თეიმურაზ კაჩუხაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის 1093 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში გადახდა.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 230-ე, 233-237-ე მუხლებით,

**დაადგინა:**

1. მიღებულ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ახმედ გოქდემირის სარჩელი დაკმაყოფილდეს.

2. მოპასუხე თეიმურაზ კაჩუხაშვილს ახმედ გოქდემირის სასარგებლოდ გადახდეს 36464 (ოცდათექვსმეტიათასოთხასსამოცდაოთხი) აშშ დოლარი.

3. თეიმურაზ კაჩუხაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდეს სახელმწიფო ბაჟი 1093 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

4. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი ხუთი დღის ვადაში გაეგზავნოს მოპასუხეს, რომელსაც განემარტოს, რომ ამ გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების მოთხოვნით, შეუძლიათ შემოიტანოს საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11) გადაწყვეტილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

მოსამართლე **ირაკლი ლეკვეიშვილი**

### ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**ფეხბურთელთა XXI ეროვნული ჩემპიონატის II წრე რუსთავის „ოლიმპმა“ სოლიდური ჰანდიკაპით დაასრულა – ქვემოქართლელები უახლოეს მდევარს „ზესტაფონს“ 7 ქულით უსწრებენ და, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, გაისად, როცა განახლდება ტურნირი, მეორედ მოიპოვებენ საპატიო წოდებას.**



სამაგიეროდ, მძაფრი ბრძოლაა მოსალოდნელი III საპრიზო ადგილისთვის, რომელიც საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლის უფლებას იძლევა. საშობაო არდადეგების წინ ქვეყნის ჯერაც მოქმედ ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ და ყველაზე ტიტულოვან კლუბს თბილისის „დინამოს“ მხოლოდ ერთი ქულა აშორებთ.

**გაუწყებს XVIII ტურის სრულ შედეგებს:** „ზესტაფონი“ – „ბაია“ 2:1, „ცხინვალი“ – „ოლიმპი“ 1:2, „ვიტ ჯორჯია“ – „ლოკომოტივი“ 1:1, „დინამო“ – „სამტრედია“ 2:0, „სიონი“ – „გაგრა“ 1:1.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ოლიმპი“ – 45, „ზესტაფონი“ – 38, „ვიტ ჯორჯია“– 33, „დინამო“ – 32, „ცხინვალი“ – 23, „სამტრედია“ – 22, „სიონი“ – 17, „გაგრა“ – 14, „ბაია“ – 12, „ლოკომოტივი“ – 9 ქულა.

**ბომბარდირი:** აკინო („ოლიმპი“ძ – 18 გოლი.

დავძენთ, რომ წლევანდელი სეზონის ბოლო აკორდი 17 დეკემბერს რუსთავის განახლებულ სტადიონზე გაჟღერდება, სადაც „ვიტ ჯორჯია“ და „დინამო“ საქართველოს სუპერთასს გაითამაშებენ.

* * *

**იტალია.** „ატალანტა“ – „ინტერი“ 1:1, „მილანი“ – „პალერმო“ 0:2, „ბარი“ – „იუვენტუსი“ 3:1, „სამპდორია“ – „რომა“ 0:0.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ – „ესპანიოლი“ 1:0, „ვალენსია“ – „რეალი“ 2:3, „ხიხონი“ – „სევილია“ 0:1, „ატლეტიკო“ – „ვილიარეალი“ 1:2.

**ინგლისი.** „ჩელსი“ – „ევერტონი“ 3:3, „მანჩესტერი“ – „ასტონ ვილა“ 0:1, „ლივერპული“ – „არსენალი“ 1:2, „ტოტენჰემი“ – „ვულვზი“ 0:1.

**გერმანია.** „ჰერტა“ – „ლევერკუზენი“ 2:2, „ვერდერი“ – „შალკე“ 0:2, „ბოხუმი“ – „ბაიერნი“ 1:5, „ნიურნბერგი“ – „ჰამბურგი“ 0:4.

**საფრანგეთი.** „ლიონი“ – „ბორდო“ 0:1, „მარსელი“ – „ბულონი“ 2:0, „ლორიანი“ – „ოსერი“ 0:0, „ლე მანი“ – „ვალანსიენი“ 2:1.

**ჰოლანდია.** „ტვენტე“ – „ბრედა“ 3:1, „პსვ“ – „ალკმაარი“ 1:0, „აიაქსი“ – „ტილბურგი“ 3:0, „ჰერენვენი“ – „ფეიენოორდი“ 0:2.

### სამბო

# შედეგები შეაჯამეს



**საქართველოს სამბისტებმა წლის შედეგები შეაჯამეს და საუკეთესოებიც გამოავლინეს.** სპორტსმენებში პირველი ადგილი ხვდა წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლისა და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორ მინდია ბოდაველს (90 კგ.ძ, მეორე ადგილზე გავიდა ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო მესამე პრიზიორი უშანგი კუზანაშვილი (52ძ, ხოლო მესამე ადგილი მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანმა ნიკო კუციამ (82ძ დაიკავა.

მწვრთნელებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: გივი სარდანაძე, ზურაბ ტუღუში და ანზორ თენაძე.

### ძიუდო

# ჭორჭოლიანის ბრინჯაო



**იაპონიაში დამთავრდა ძიუდოს ფუძემდებლის ძიგორო კანოს მემორიალი, რომელშიც ქართველი ფალავნებიც მონაწილეობდნენ. მათგან მედალი მხოლოდ ლომერ ჭორჭოლიანმა (100ძ მოიპოვა.**

ამას წინათ ლომერმა საქართველოს ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა, ტოკიოში კი უფრო შემართულად იჭიდავა. პირველ წრეში მან ქუვეითელ იოუსეფ ალენეზის აჯობა, შემდეგ ბრაზილიელ მსოფლიო ჩემპიონ ლუსიანო კორეას დაუპირისპირდა. 2007 წელს რიო დე-ჟანეიროში კორეამ სძლია ჩვენებურს, ტოკიოში კი ჭორჭოლიანმა დამსახურებული რევანში აიღო. მესამე წრეში ქართველმა ფალავანმა გერმანელ დინო პფაიფერს მოუგო, ნახევარფინალში კი კორეელ მსოფლიოს ჩემპიონ ჰე-ტაე ჰვანგთან დამარცხდა და მესამე ადგილს დასჯერდა.

### კალათბურთი

# რექტორის ფაქტორი

**XIX ეროვნული ჩემპიონატის VI ტურში ყველა ინტერესით ელოდა მანამდე დაუმარცხებლად მოასპარეზე საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მატჩს.**



სამწუხაროდ, ბრძოლა არ შედგა – ბარბაქაძის (25 ქულაძ ძალისხმევით ნუგზარ ჭეიშვილის გუნდმა ნოკდაუნში გაგზავნა პრინციპული მეტოქე – 81:61. როგორც პრესლოჟაში გამოითქვა ვარაუდი, სასოფლოელებზე, ეტყობა, უარყოფითად იმოქმედა მათ შეხვედრაზე აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის რექტორის, სპორტის დიდი გულშემატკივრის გელა ჯავახიშვილის დასწრებამ – ბიჭებმა ფსიქოლოგიური წინაღობა ვერ დაძლიეს.

**დანარჩენი შედეგები:** „ენერჯი ინვესტი“ – „ავიამშენი“ 109:76, „დინამო“ – სამედიცინო აკადემია 72:53, „ბათუმი“ – „მერანი“ (ჭიათურაძ 129:51 (ზღვისპირელთა ლიდერმა იმნაძემ სეზონისთვის სარეკორდო – 46 ქულა მოაგროვა, აქედან 25 – პირველ პერიოდშიძ, შსს – „სოხუმი“ 85:65.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ენერჯი ინვესტი“ – 6, საუ, თსუ – 5-5, შსს – 4, „სოხუმი“ – „დინამო“, „ბათუმი“, „ავიამშენი“ – 2-2, სამედიცინო აკადემია – 1, „მერანი“ (ჭიათურაძ – 0 მოგება.

**შემდეგი ტური:** „ბათუმი“ – სამედიცინო აკადემია (18 დეკემბერიძ, თსუ – „მერანი“ (ჭიათურაძ, შსს – „ენერჯი ინვესტი“, „ავიამშენი“ – საუ, „დინამო“ – „სოხუმი“ (19 დეკემბერიძ.

### კარატე

# „ოქრო“ ფარდის დაშვების წინ



**საქართველოს ორი სპორტსმენი მონაწილეობდა ვილნიუსში 22-წლამდელთა ევროპის პირველობაზე კიოკუშინკაი კარატეში ნაკრების მთავარი მწვრთნელის ირაკლი დოლაბერიძის ხელმძღვანელობით.** 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში შესანიშნავად იასპარეზა ბათუმელმა რატი წითელაძემ (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიძ, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

### ჭადრაკი



# ქალებში ყველას აჯობა

**თხუთმეტი ქვეყნის 75 მოჭადრაკე მონაწილეობდა იტალიურ მილანში გამართულ საერთაშორისო ტურნირში.** მოასპარეზეთა შორის იყო ბათუმელი დიდოსტატი სალომე მელია, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 6 ქულით მეშვიდე-მეათე ადგილები გაინაწილა, ქალთა შორის კი ყველას აჯობა. 6,5-6,5 ქულით პირველ-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ვადიმ შიშკინი (უკრაინაძ, სინიცა დრაჟიჩი (სერბეთიძ და ანდრეი სუმეცი (უკრაინაძ გავიდნენ.

### ინტერნეტიდან

## „მანჩესტერი“ – მილიარდ გირვანქად




**გავრცელებულ ხმებს თუ დავუჯერებთ, აზიელ ბიზნესმენთა კონსორციუმს უნდა, გლეიზერების ოჯახიდან გამოიყიდოს ინგლისური ფეხბურთის კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი“. პრესის ცნობით, ჯგუფი შედგება ექვსი მილიარდერისგან, ის 3 თვის მანძილზე ამზადებდა წინადადებას, რაზეც მალკოლმ გლეიზერს უარის თქმა გაუჭირდება. მას შესთავაზეს 1 მილიარდი გირვანქა სტერლინგი.**

„ფული მოგროვებულია. მათ შეთანხმების უმცირესი დეტალებიც კი დაამუშავეს და იმედოვნებენ, რომ თუ როდესმე შეიძლებოდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ გაყიდვა, სწორედ ახლაა შესაძლებელი“, – განაცხადეს ბანგკოკში, სადაც დაბანაკებულია ეს კონსორციუმი, – თუკი გლეიზერები კლუბის გაყიდვისთვის მზად არიან, მაშინ ფულიც მზადაა“.

ისიც უნდა ითქვას, რომ კონსორციუმი მზადაა, იყიდოს კლუბის ნაწილი მაინც, თუ გლეიზერებს მისი მთლიანად გაყიდვა არ უნდათ.

## გაჭირვება რას არ გაგაკეთებინებს



**ამ ფოტომ მთელ მსოფლიოს თუ არა, ევროპას მაინც შემოუარა. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური მეექვსე ტურის დროს გერმანული „შტუტგარტის“ მეკარე იენემ ლემანმა გაიმეორა შვეიცარიელი მსაჯის მასიმო ბუზაკის „გმირობა“, მან „უნირისთან“ მატჩის დროს თავისი გუნდის შეტევისას სარეკლამო ფარის უკან სცადა „მცირე გასაჭირის“ დაკმაყოფილება.**

როგორც გაზეთი The Sun იტყობინება, ლემანმა „გაჭირვება“ ბოლომდე ვერ დაიკმაყოფილა, რადგან მეტოქე ამ დროს შეტევაზე გადმოვიდა და მეკარე სასწრაფოდ დაბრუნდა კარში. მოგვიანებით კი მან ჟურნალისტებს აუხსნა, რომ შეხვედრისას ძალიან ნერვიულობდა.

ისიც სათქმელია, რომ ლემანი მიმდინარე სეზონის დამთავრების შემდეგ აპირებს კარიერის დამთავრებასაც, თუმცა იქამდე უნდა, კარგად იგრძნოს ჩემპიონთა ლიგის ეშხი.

## სემენია სქესს შეიცვლის?

**ალბათ გახსოვთ, რა ამბავი შეიქმნა, როცა ბერლინში მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე 800 მეტრზე სირბილში ქალთა შორის ჩემპიონი გახდა სამხრეთ აფრიკელი კასტერ სემენია. მაშინვე შეიტანეს ეჭვი მის ქალობაში. რადგან გარეგნობითაც და სიმძლავრითაც უფრო ჭაბუკს წააგავდა. თუმცა მაშინვე ჩაატარეს რაღაც ანალიზები, მაგრამ ახალბედა ჩემპიონის ქალობაზე თუ კაცობაზე საბოლოო დასკვნა ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ.**




მძლეოსნობის საერთაშორისო ასოციაციამ განაცხადა, რომ მზადაა გაიღოს ყველა ხარჯები, თუკი მსოფლიო ჩემპიონი მოისურვებს სათანადო ოპერაციის გაკეთებას სქესის შეცვლაზე და ქალთა შორის იასპარეზებს.

ალბათ ისიც გახსოვთ, რომ გავრცელდა ხმები, თითქოს სამხრეთ აფრიკელი ჰერმაფროდიტია და რომ მას ტესტოსტერონი სამჯერ მეტი აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ ქალს. ამასთან დაკავშირებით ამბობენ, რომ მის ორგანიზმში ჩარევამ, შესაძლოა, კიბო გამოიწვიოს.

იანვარში მაიამში გაიმართება წამყვანი გენდერული ექსპერტების სიმპოზიუმი, რომელიც განიხილავს სექს-კონტროლის გამარტივებული პროცედურის საკითხს, რათა სემენიას ირგვლივ შექმნილი სიტუაცია აღარ განმეორდეს.

იქამდე კი სპორტსმენს დაუტოვეს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალიც და ფულადი პრიზიც.

## საშობაო საჩუქარი

**ჟურნალის Playboy ვარსკვლავი კენდრა უილკინსონი დედა გახდა. ინდიანაპოლისის კლინიკაში მამაკაცთათვის განკუთვნილი ჟურნალის მფლობელის ჰიუ ჰეფნერის ყოფილმა საყვარელმა, ახლა კი ფეხბურთის ეროვნული ლიგის მოთამაშის ხენკ ბასკეტის ცოლმა ბიჭი გააჩინა.**

პირველმა დედას სწორედ ჰეფნერმა მიულოცა დიდი სიხარული, ახალშობილ ბიჭს კი დიდებული საშობაო საჩუქარი ეწოდა.



### სამთო თხილამურობა

# ოთხ დღეში ოთხი გამარჯვება

**იტალიის კურორტ ბორმიოში გრძელდება „სითიზენის“ ეგიდით საერთაშორისო შეჯიბრებები სამთო თხილამურობაში. მონაწილეთა შორის ქართველი სპორტსმენებიც არიან.** განსაკუთრებით იასონ აბრამაშვილმა



იყოჩაღა – მან ოთხ დღეში ზედიზედ ოთხი ტურნირი მოიგო: ორი გიგანტურ სლალომში და ამდენივე სლალომში. მეოთხე ასპარეზობა სლალომში გასულ უქმეებზე გაიმართა. საპრიზო ადგილებისთვის 150 მოთხილამურე იბრძოდა. ორივე ცდა 72-მა სპორტსმენმა გამოიყენა უშედეგოდ. იასონმა 1.23,23 წუთით ყველას აჯობა. მეორე ადგილზე გავიდა მიხაილ რენჟინი (ისრაელიძ, რომელიც გამარჯვებულს 2 წამით ჩამორჩა. მესამე ადგილი რუს ვლადიმერ ნოვიკოვს ხვდა.

ღამის რეპორტაჟი

# „ჩემი თბილისის საღამო“...

**საახალწლოდ ჩემს ახალგაზრდობაშიც ირთვებოდა თბილისის ქუჩები. განათება, ნაძვის ხეები, თოვლის პაპა და საახალწლო სანოვაგე, მადლობა ღმერთს („ნაციონალების“ დამადლებული საჩუქარი კი არ არისძ, ადრეც იყო. დავდიოდით თბილისის ქუჩებში და გიტარაზე ვამღერებდით: „ჩემი თბილისის საღამო, პატარძალივით ირთვება“...**

„შემოვიდნენ ნაცები და... ატყდა დავიდარაბა“, ახლა ყველაფერი არის ძლიერ „კარგად“, მაგრამ ყველაფერი არის ძლიერ ცუდად! რა სჯობს განათებულ, გალამაზებულ თბილისს, ბევრს ვიწონებთ, ბევრი კი თბილის-ქალაქს თავის სახელს, ხიბლსა და ტრადიციას უკარგავს. არ გახლავართ, იმ პრინციპზე ვიდგე, ვინც არ მიყვარს, მის მიერ გაკეთებული კარგი საქმე არ დავინახო, მაგრამ თუ გაგივლიათ თბილისის ქუჩებში, კერძოდ ცენტრალურ პროსპექტზე? გაივლიდით, რა თქმა უნდა, მით უმეტეს, როდესაც შუა ქრისტეშობისთვეა და საღამოს ექვს საათზე უკვე ბინდდება, სწორედ მაშინ აჭრელდება ჩემი დედაქალაქი ათასგვარი იაფფასიანი გირლიანდებით, რომელიც ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებში ბენდუქიძის წონის პროპორციულადაა გაზრდილ-გადამეტებული. ეს საყვირიანი მოციმციმე ქალებიო, ეს ანთებული შადრევნებიო (ნამდვილში არ აგერიოთ, ხელოვნურებზე მოგახსენებთძ, აბრჭყვიალებული წმინდა გიორგის მონუმენტი და ჩინელების ხელის მოთბოზითა და მათი ჭკუა-მარიფათით შემოთავაზებული ათასგვარი ხარახურით.

— ბებო, ბებო, აკი ნაძვის ხეს გაჩვენებო? — ეკითხება ხანდაზმულ მანდილოსანს პატარა, რომელიც ბებოს პარლამენტის შენობის წინ გამოუყვანია მოციმციმე ნაძვის ხის სანახავად.

მადლობა უფალს, რომ ამ პაწაწინას ნამდვილი ნაძვის ხე მაინც უნახავს, თორემ მის მეხსიერებას ხომ ეს საშინელება შემორჩება ნაძვის ხის სიმბოლოდ აღთქმული. თუ ეს გახლავთ „ნაცების“ ნაძვის ხე, ეტყობა უცხოეთში სწავლისას ნაძვის სანახავადაც არ ეცალათ, თორემ კარგად ეცოდინებოდათ გამწვანების ცნობილი სპეციალისტი ბატონი ზაურ თაბაგარი, რომელიც საახალწლოდ მთელი კვირა ეძებდა ბაკურიანისა და ბორჯომის ტყეებში ამ შესანიშნავი მცენარის საუკეთესო ნიმუშებს, რამდენიმე ცალი ჩამოჰქონდა თბილისელებისთვის და შესანიშნავი მორთულობებით ამკობდა კიდეც. თავის დროზე ახლანდელმა პრეზიდენტმა, ადრე კი საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა, თავის მეგობარ „გოლეადორ“ კახი კალაძესთან ერთად, მისთვის ჩვეული ორიგინალურობით, ამწე მანქანის დახმარებით მორთო და გააბრდღვიალა კიდეც. ეჰ, მაშინ კარგი დრო იყო — არც რუს ოკუპანტებს „გადაუწვავთ“ ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში იშვიათი ჯიშის წიწვოვნები და არც ჩვენი ჩინოვნიკების ხელშეწყობით გაუზიდიათ თურქეთში. ახლა ყველაფერს მათ ვაბრალებთ, ამით კი იგივე ჩვენი ხელისუფალნი და ჩინელი ნაძვუნახავი ბიზნესმენები გვიგზავნიან, ხან ეგვიპტის პირამიდების მსგავს ნაძვის ხეებს და ხან „კლოუნის“ თავზე დასამაგრებელ კონუსების მსგავს საშინელებებს.

კარგია გაბრდღვიალებული თბილისი, მაგრამ ბავშვებს და არა მარტო მათ, სანტა-კლაუსებისა და უგვანო ნაძვის ხეების ნაცვლად წელიწადში ერთხელ მაინც ვაჩვენოთ ჩვენი ტრადიციული ახალი წლის ატრიბუტები.

სხვათა შორის, პატარას კითხვაზე ბებიაც შეცბა და ნაძვის ხის გვერდით ოთხმეტრიანი მოციმციმე, საყვირიანი ქალის ფიგურით თვალმოჭრილმა ჩაილუღლუღა — მგონი, სხვაგან მოვედით შვილოო.

რაც შეეხება რესპუბლიკის მოედანს, აქაც საახალწლო მზადებაა. ეს კი, რაც მართალია, მომეწონა — პატარა ქოხმახები, საციგურაო მოედანი და ათასგვარი გასართობი.

მოკლედ, დედაქალაქი საახალწლოდ ემზადება.

ჩემი ახალგაზრდობისდროინდელი სიმღერა ამეკვიატა ისევ საღამოს თბილისში ხეტიალისას, ოლონდ... „ჩემი თბილისის საღამო, ჩინურ ფერებში ირთვება“...

ისე, რას გადავეკიდეთ ამ ჩინელებს, რაოდენობით კი არა — ჭკუითაც გვჯობნიან...

**ავთანდილ ბექაური.**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**









ჯანმრთელობა

## საჭიროა თუ არა ღორის გრიპის აცრა?




## ყველაზე მნიშვნელოვანი ვიტამინი ზამთარში

**D ვიტამინის დეფიციტი განსაკუთრებით საშიშია ზამთარსა და ჩრდილოეთ რეგიონებში, — მიაჩნიათ ამერიკელ მეცნიერებს.**

**მედიკოსები სულ უფრო ხშირად ახსენებენ D ვიტამინს გულის დაავადებათა პროფილაქტიკისათვის, იმუნური სისტემის გაძლიერებისთვის, ვირუსული ინფექციების საწინააღმდეგოდ.**

**სწავლულები მას განიხილავენ როგორც წამალს ტუბერკულოზის, შიდსისა და სხვა სერიოზული დაავადებისთვის.**

**ეს ვიტამინი ეწინააღმდეგება ისეთ მძაფრ მოშლილობებს, როგორიცაა გაფანტული სკლეროზი, ფსორიაზი და რევმატოიდური ართრიტი.**

**თითქმის მილიარდი ადამიანი განიცდის D ვიტამინის დეფიციტს. იმუნოლოგები აღნიშნავენ, რომ მისი მიღება რძის პროდუქტებიდან და თევზიდან იშვიათადაა საკმარისი. მისი მთავარი წყაროა მზის სხივები.**

Аргументы и факты

**შპს „სპეცგეო-2008“ აცხადებს აუქციონს 2009 წლის 30 დეკემბერს**

1. ა/მანქანა „ზილ-4502“ სახ. №06.02 ГРЕ საწყისი ფასი 600 ლარი.

2. ა/მანქანა „უაზ 469“ სახ. №PAR704, საწყისი გასაყიდი ფასი 300 ლ.

აუქციონის ბე შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 20 პროცენტს.

აუქციონის ბიჯი 10 პროცენტი

აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი 10 ლარი.

აუქციონი ჩატარდება ავჭალის №17, 12 საათზე.

ტელეფონი 899-54-03-63.

ბე და საფასურის გადახდა მოხდება სს „საქართველოს ბანკის“ ანგარიშის ნომერი 783818000.

**პაატა ცხადაია ღრმა მწუხარებით იუწყება მეუღლის**

**ვილენა (ვიკაძ ჯოჯუას**

**გარდაცვალებას და მუდამდღე ილოცებს მისი სულისა და სახელის უკვდავებისათვის.**



**ივა და გია ბერაძეები ოჯახებით იუწყებიან კეთილშობილი და უახლოესი ნათესავის**

**ანტონ (ბაჭაძ ბერაძის**

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.**



**მეუღლე ნანა კვიჭიძე, შვილები ლაშა, მზია ვაშაკიძე, სიძე გიორგი გელაშვილი, შვილიშვილი ელისაბედი, სიმამრი გივი კვიჭიძე, სიდედრი ქეთევან გოგუაძე, ცოლისდები მანანა, მაია კვიჭიძეები, ქვისლი დათო გვრიტიშვილი, მძახლები მალხაზ, ნინო გელაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**აკაკი ვაშაკიძე**

**პანაშვიდი 15, 16 XII, დაკრძალვა 17 XII, 14 სთ. საბურთალოს სასაფლაოზე. მის: ჭავჭავაძის ქ. №44, II სადარბაზო.**

**საქართველოს ყოფილი სახალხო კონტროლის მუშაკთა მეგობრობის კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აჭარის ყოფილი სახალხო კონტროლის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე, თავისი დროის თვალსაჩინო მოღვაწე**

**თამაზ ვლადიმერის ძე ბაზიაშვილი**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**



**თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის პედაგოგიური კოლექტივი მწუხარებას გამოთქვამს მუსიკალური სტუდიის პედაგოგის ლევან ქორიძის მამის**

**ანზორ ქორიძის**

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

პატივმიგება

# ძეგლი სიცოცხლეშივე დაუდგეს



დიდი სერბი მწერალი მილორად პავიჩი, რომელსაც ჩვენი თვალსაჩინო მთარგმნელების ელზა მეტრეველისა და გურამ გოგიაშვილის წყალობით ქართველი მკითხველიც იცნობს, ახლახან გარდაიცვალა, სულ მალე 80 წლისთავის აღნიშვნის მერე.

„საქართველოს რესპუბლიკამ“ უკვე მიაგო ჯეროვანი პატივი სახელგანსმენილი რომანისტის ხსოვნას, მაგრამ მაინც გადავწყვიტეთ რამდენიმე „დამატებითი“ შტრიხის მიწოდება იმის შემოქმედებასთან დაკავშირებულთა.

რუსეთში მწერალი პოპულარული გახდა 1990-იანი წლების ბოლოს, როცა წამოვიდა „ინტელექტუალური ლიტერატურის“ ტალღა ახალგაზრდობისთვის: მილან კუნდერა, სარუკი მურაკამი და მილორად პავიჩი; რატომ იქცა ამ უკანასკნელის „ხაზარული სიტყვისკონა“ უცბადვე ესოდენ აქტუალურად, სპეციალისტთათვის აქამდე გაუგებარია. ბესტსელერად მოვლენილი ეს წიგნი იყო ხაზართა სამეფოში ცხოვრების წყობის ამხსნელი ერთგვარი გამოკვლევა, სადაც ავტორმა თავი მოუყარა ისტორიულ სიუჟეტებსაც და რომანტიკულ გადმოცემებსაც; აქვე გაახმიანა თავისი დევიზი: „გეშინოდეთ მკითხველისთვის თავის მობეზრებისა; თუ თქვენ თქვენს წიგნზე უფრო ბრძენი ხართ, არ ყოფილხართ მწერალი“.

მოსკოვში 2001 წელს წიგნის ბაზრობაზე ვიზიტისას მას განუცხადებია, რომ რუსული თანამედროვე ლიტერატურა კიდევ დაჰბადებს პუშკინებსა და ჩეხოვებს, თუმცა იქვე „შეუსწორებია“: ჟანრთა მრავალფეროვნებაში არცთუ ძალიან მოსწონს, რომ რუსი ლიტერატორები მსუბუქმა ბელეტრისტიკამ გაიტაცა. „ასეთი ბოლო ჟამს იმდენია, რომ ზოგჯერ ერთი რამ გინდა: გაერკვე, თუ რომელ ენაზე სჯობდა დადუმება“ – დაუჩივლია...

ძეგლი, რომელსაც ფოტოზე ხედავთ, პავიჩს წლეულს დაუდგეს მოსკოვში, საზღვარგარეთული ლიტერატურის ბიბლიოთეკის პატარა ეზოში...

დღის კალენდარი

15 დეკემბერი

**28-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. სამშაბათი.**



ამოდის 07.21
ჩადის 16.29



ამოდის 15.56
ჩადის 07.18

ამბაკოსი (VI ს. ქრ.შობამდე); წმიდა მამისა ჩვენისა ისე წილკნელ ეპისკოპოსისა – ათცამეტ სირიელ მამათაგანისა (VIძ, მოწამე მიროპიასი (დაახლ. 251ძ. ღირსი იოანესი, ირაკლემონისა, ანდრიასი და თეოფილესი (IVძ.

## დაიბადნენ:

**1832 – გუსტავ ეიფელი,** ფრანგი ინჟინერ-მშენებელი. ეიფელის კოშკის ავტორი. გარდაიცვალა 1923 წელს.
**1924 – ანა კალანდაძე,** პოეტი-აკადემიკოსი. გარდაიცვალა 2008 წელს.

## გარდაიცვალნენ:

**1897 – ალფონს დოდე,** ფრანგი მწერალი.
**1921 – შარლ კამილ სენ-სანსი,** ფრანგი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი.
**1966 – უოლტ დისნეი,** ამერიკელი მულტიპლიკატორი.

## მოვლენები:

**1948 წელი** – ფრედერიკ ჟოლიო-კიურის ხელმძღვანელობით ამუშავდა პირველი ფრანგული ატომური რეაქტორი.
**1961 წელი** – იერუსალიმის სასამართლომ ნაცისტ დამნაშავეს ადოლფ ეიჰმანს ჩამოხრჩობა მიუსაჯა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**მალაიზია** – სულთნის დღე;
**ჰოლანდიის ანტილიის კუნძულები** – სამეფოს დღე

**მედიანიუსი**

**„ოჯახის მკურნალი“**
ჰომეოპათიის (თ. ალაშვილი – დირექტორიძ, ქართული ტრადიციული მედიცინის (ნ. ნაჭყებიაძ, ბავშვთა მანუალური თერაპიის (თ. მიმინოშვილიძ, მასაჟის და სამკურნალო ფიზკულტურის კლინიკა
რუსთაველის 28/ალ. ჭავჭავაძის 2ა, 98-64-86, 98-99-55, (899ძ 55-99-61.
www.alashvili.com

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

მეზობლებთან

# მავანთა გასაგონად...

**რუსეთის პენსიონერებს საბაზო შრომითი პენსია პირველი დეკემბრიდან 31 პროცენტით გაეზარდათ და 2562 რუბლი გახდა – ქართული ვალუტით 128,1 ლარი. მიმდინარე წლის IV კვარტალში თანხა საარსებო მინიმუმამდე აიწევს და ახალი წლის პირველივე იანვრიდან ანაზღაურდება დამატებები.**

პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა უკვე მოაწერა ხელი საპენსიო ფონდის ბიუჯეტის შესახებ კანონებს უახლოესი 3 წლისთვის. გათვალისწინებულია მოხუცებულობის პენსიის გაზრდა, ესეც ახალი წლიდან, 8400 რუბლამდე (420 ლარამდეძ.

– ეს წელიწადი იოლი როდი იყო და მომავალი წელიც ასეთივე ძნელი დარჩება; მიუხედავად ამისა, ბიუჯეტში ჩადებულია ყველა აუცილებელი სახსარი საპენსიო სისტემის სრულფასოვანი ფუნქციონირებისა და, მაშასადამე, პენსიების გაცემისათვის, – უბრძანებია რუსეთის პირველ პირს.

... ამ ციფრების გაცნობის მერე როგორ არ გეტკინება გული საქართველოში პენსიების მხრივაც სავალალო სურათის გამო – „პატარკაცთა“ საცოდავი 85-ლარიანი პენსია რომ გაგახსენდება („რუსეთულად“ 1700 რუბლიძ; უამრავი „პატარკაცისა“, თორემ ყოფილ „მთავრობისეულთ“, იცოცხლეთ, გვარიანი პენსია ჰქონდეთ – ღმერთმა მოახმაროთ...

**თამაზ ებანოიძე**

ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 – +6 |
| ქუთაისი. | +7 – +10 |
| ბათუმი. | +8 – +12 |
| ზუგდიდი. | +4 – +8 |
| თელავი. | +6 – -1 |



ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6734 ლარი |
| 1 ევრო | – 2.5267 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7877 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7592 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.3389 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0852 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.0946 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1179 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4614 ლარი |



კადრი



ანეკდოტები

ტიპმა ბანკში ანგარიში გახსნა და შავი დღისთვის ფულის გადანახვა დაიწყო. ათი წლის შემდეგ ეს შავი დღეც დადგა: ბანკი გაკოტრდა...

* * *

ყრუ ქირურგი ნარკოზს არ იყენებს.

* * *

მართლაც როგორი აბსურდია: ტრადიციაზე (ე. ი. ხალხურ მეთოდებზეძ დაფუძნებულ მედიცინას არატრადიციულს უწოდებენ.



* * *

ერთი ახალგაზრდა ლექტორი გვყავს. ახლახან ცოლმა სახლიდან გააგდო. იმ სულელს სექსის შემდეგ ცოლისთვის უთქვამს: კარგი იყო, მომეცი ჩათვლის წიგნაკი...

* * *

სასოწარკვეთილი ვარ! ქორწილის მეორე დღიდანვე პეტკა საერთოდ არ მაქცევს ყურადღებას!
– შენც გაშორდი!
– ვის? ჩემს ქმარს ვიქტორი ჰქვია!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.